

α
ρ
ω

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

სარცხუნოება და მეცნიერება

თბილისი | 2012 | №1

თბილისი, 0179. გ. რამიშვილის ქ. №35ა, სად. №1, ბ. №1.

ტელ.: +995 (32) 2447730, +995 (32) 2250243

ელ. ფოსტა: secretarial@logos.org.ge; ვებ გვერდი: www.logos.org.ge



საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საერთაშორისო ცენტრი

პერიოდული გამოცემა
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

სამეცნიერო სემინარი

სარწმუნოება
და მეცნიერება

თბილისი | 2012 | №1

სემინარი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთავს.

საქართველოს
მართლმადიდებელ
ეკლესიასთან
არსებული
ქრისტიანული
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრი



მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი:
„ეროვნული თვითმყოფადობა
საკაცობრიო ღირებულებების
კონტექსტში“

პრეამბულა

საკაცობრიო ღირებულებების უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ბიბლია. საღმრთო სიბრძნემ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც უდიდეს სამსახურს უწევს ადამიანს. ბიბლიის მიხედვით ჭეშმარიტების შემეცნებისათვის საჭიროა როგორც რაციონალური (ლოგიკური, ცდისეული), ასევე ირაციონალური (ინტუიტიური, მისტიკური) გაგების, წვდომის, ჭვრეტის კულტურა. სარწმუნოებისა და მეცნიერების დაპირისპირება ნიშნავს შემეცნების საზღვრების შევიწროებას, სამყაროს შესახებ არასრული, ცალმხრივი წარმოდგენის შექმნას. ისტორიაში ყოფილა არაერთი მაგალითი როგორც მისტიკური ჭვრეტის წინაშე ლოგიკური აზროვნების როლის დამცირებისა, ასევე ცდისეული მეთოდის აბსოლუტური უპირატესობის აღიარებისა სულიერთან შედარებით. ქართული კულტურა ყოველთვის გამოირჩეოდა გულისა და გონების ჰარმონიული მონაწილეობით შემეცნებისა და შემოქმედების პროცესში. ტაო-კლარჯეთისა და ათონის სკოლის ტრადიციების

გამგრძელებელი გელათის აკადემიის უმთავრესი იდეა იყო კავშირი სულიერებისა და ინტელექტუალური კურას მეორე იერუსალიმი და სხვა ათინა.

წმინდა ილია მართალის მოსწრებული სიტყვით მე-19 საუკუნის წმინდა მღვდელთმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა. საქართველოში ეს ტრადიცია დღესაც ცოცხალია.

საკაცობრიო ღირებულებები ჭეშმარიტების შემეცნების საიმედო ორიენტირია ყველა ერისათვის, მაგრამ ამავე დროს ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს თავისი განუმეორებელი ხელწერა, რითაც მდიდრდება და მრავალფეროვანი ხდება საკაცობრიო მემკვიდრეობა.

ვაჟა-ფშაველა წერდა: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის.“

თვითმყოფადი ეროვნული კულტურების გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნძე და, პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო.

ამ სულისკვეთებისადმი ერთგულებით ჩვენს თანამედროვეთა შორის გამოირჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი უწმიდესობის აზრით, საქართველოს ეროვნული იდეა გულისხმობს სამი უდიდესი ღირებულების ერთიანობას. ეს ღირებულებებია – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი.

ჩვენი სემინარის უმთავრესი მიზანი სწორედ ის გახლავთ, რომ ჩვენი საბოგადოების წინაშე არსებული უმნიშვნელოვანები პრობლემები განხილულ იქნას ზემოხსენებული ფასეულობების ფონზე.

სემინარის თემატიკა

- სარწმუნოება და მეცნიერება
- ეროვნული იდეის არსი ცნობიერება
- ეკლესია და პიროვნული თავისუფლება
- სარწმუნოება და ფიქოთერაპია
- ეკლესია და ოჯახი
- ეკლესია და განათლება
- ეკლესია და
- ახალგაზრდობა
- ეკლესია და კულტურა
- ეკლესია და მასმედია
- ეკლესია და ეკონომიკა
- ეკლესია და სოფლის მეურნეობა
- ეკლესია და სახელმწიფო
- საერთაშორისო ურთიერთობები და გლობალიზაცია

სემინარის პრობლემატიკა განხილული იქნება ორი თვალსაწიერით – მართლმადიდებლური სწავლებისა და თანამედროვე მეცნიერული შეხედულებების შესაბამისად. წარმოდგენილი იქნება ორი მოხსენება: ერთი – ღვთისმსახურთა და მეორე – მეცნიერთა წარმომადგენლის მიერ.

სემინარის პირველი სხდომა შედგა 2012 წლის 2 თებერვალს და მიეძღვნა პრობლემას „სარწმუნოება და მეცნიერება“. მოხსენებები წაიკითხეს დეკანოზმა ზურაბ ცხოვრებაძემ – „ღვთაებრივი და ამსოფლიური სიბრძნე“ და პროფესორმა ალექსი გერასიმოვმა – „მართლმადიდებელი ეკლესია და მეცნიერება“. მოხსენებების სრული ტექსტი წარმოდგენილია მოცემულ გამოცემაში.

თემის განხილვაში მონაწილეობდნენ (გამოსვლათა რიგის
მიხედვით):

სამთავისისა და გორის მიტრიპოლიტი ანდრია (გვაზავა)

რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე
(გამრეკელი)

ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი
(ფაჩუაშვილი)

საქართველოს საპატიოარქოს წმინდა თამარ მეფის
უნივერსიტეტის რექტორი, არქიმანდრი ადამი
(ახალაძე)

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი (შესავალი სიტყვა
და ბოლოთქმა)

პროფესორები: მერაბ ჭიბლაძე, ოლეგ ნამიჩაიშვილი,
გიორგი ბალათურია, ნოდარ ნათაძე, თენურ ლეჟავა,
თეიმურაზ ბუაძე, ედიშერ ჭელიძე, ნოდარ კეკელიძე და
თამაზ გაბისონია.

ამ გამოსვლების სრული ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ
ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის
ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.logos.org.ge

ღვთაებრივი და ამსოფლიური სიბრძნე

დეკანოზი ზურაბ ცხოვრებაძე

თბილისის სასულიერო სემინარის პედაგოგი

„არც კი იცი კაცმა, რა უფრო გაგიკვირდეს მათი, უფლის სიტყვის წვდომა, თუ საერო განსწავლულობა“

ღმერთმა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად როცა შექმნა, მას თავისუფალ ნებასთან ერთად თავისუფალი გონება მიმადლა. სამოთხისეული ადამიანის გონება გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე იქიდან განდევნილისა. ის უფრო ახლოს იდგა საღვთო ჭეშმარიტებასთან. ადამი ბრძენი იყო. რაც უფრო შორდებოდა ადამიანი სამოთხეში ყოფნის პერიოდს, მით უფრო კლებულობდა მისი სიბრძნე, ირყვნებოდა მიწიერი აგრებით. ეშმაკის შთაგონებით ადამიანის აზროვნებაში ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ჭეშმარიტების მარცვლები მასში მაინც დარჩა. ერთადერთ ჭეშმარიტ ცოდნას ჭეშმარიტი რწმენის გამო ისრაელიანები ფლობდნენ, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, გონების დასუსტება პირველქმნილი ცოდვის გამო მათშიც მოხდა. ამის შემდეგ ადამიანში დაიწყო მუდმივი შინაგანი ბრძოლა. კაცობრივი გონება თანდათან დაუპირისპირდა საღვთო სიბრძნეს. მაგრამ კაცობრიობის საუკეთესო შეილები ცდილობდნენ ამაღლებულიყვნენ ადამიანურ აზროვნებაზე. ისინი უფლის სიბრძნისკენ ისწრაფოდნენ. ეს ყველაზე უკეთ ქრისტიანმა მამებმა შეძლეს, რადგანაც წმ. იოანე ოქროპეირის თქმით: „ჩვენ იმდენად ბრძენი ვართ წარმართებზე, რამდენადაც პლატონი ჩამორჩება სული-წმიდას. მათ მასწავლებლებად რიტორები ჰყავთ, ჩვენი კი – სულიწმიდა“. ქრისტიანი მამები გახდნენ ღვთივგანბრძნობილნი, ღვთისმეტყველნი, ღვთივსულიერნი და ამიტომაც უფრო გონიერნი, ვიდრე სხვანი. ეს იყო სხვა სიბრძნე, სხვა გონება – არაამსოფლიური, ბევრისთვის გაუგებარი და უცხო. ქრისტიანი მამები გახდნენ ჭეშმარიტი ფილოსოფოსები, რადგანაც ფილოსოფია სიბრძნის სიყვარულია, ხოლო

სიბრძნე – იესო ქრისტე, ამიტომ ჭეშმარიტ ფილოსოფიად ქრისტიანობა უნდა მოვიაზროთ.¹

ამ სტატიაში გვსურს წარმოვაჩინოთ, რამდენად იყენებდნენ წმინდა მამები საერო ცოდნას, მაგრამ ამავე დროს, როგორ სიფრთხილეს იჩენდნენ მისდამი და რამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საღვთო გამოცხადებას სიბრძნის მოსაპოვებლად.

წმინდა მამები და საერო განათლება

როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ წმ. მამებს საერო განსწავლულობისა და, საერთოდ, ცოდნისადმი? ამის გასარკვევად თვალი გავადევნოთ მამათა ცხოვრებას. სანამ საეკლესიო ცხოვრებას შეუდგებოდნენ, წმ. იპოლიტე პორტუელი, წმ. გრიგოლ დიონილოვისი, წმ. პავლინუს ნოლანელი სენატორები იყვნენ. სენატორები კი განსაკუთრებული განათლებით გამოირჩეოდნენ. ნეტარმა ავგუსტინემ, ნეტარმა იერონიმემ თავისი დროის საუკეთესო სასწავლებლებში მიიღეს განათლება. ერთნაირი გულმოდგინებით შეისწავლეს ყველა მეცნიერება და წარმართ მასწავლებელთა ქებაც დაიმსახურეს. თავისი დროის ცნობილი სწავლული ლიბანიოსი ასე ახასიათებს წმინდა ბასილი დიდს: „ესაა პომეროსი, ესაა პლატონი, ესაა არისტოტელე, ესაა კაცი ყოვლისმცოდნე“. ამგვარი აღმატებული შეფასება მით უფრო საგულისხმოა, რომ ლიბანიოსი² წარმართი იყო.

აი, რას ამბობს გრიგოლ ნოსელზე ცნობილი ლექსიკოგრაფი სვიდა: „ეპისკოპოსი გრიგოლ ნოსელი, ძმა ბასილი კესარიელისა იყო ასევე ურჩეულესი, ყოველგვარი განსწავლულობით აღსავსე კაცი, რომელიც განსაკუთრებით ეშურებოდა რიტორიკის სიამეებს“. წმინდა გრიგოლმა ღრმად შეისწავლა ანტიკური ლიტერატურა, მან წლები მიუძღვნა ფილოსოფიის შესწავლას, დაეუფლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსაც. რაც შეეხება გრიგოლ ღვთისმეტყველს, მან განათლება ჰერ

ნაზიანგში, შემდეგ ორივე კესარიაში, ალექსანდრიასა და ათენში მიიღო, სადაც ათი წელი დაჰყო, ათენში საფუძვლიანად შეისწავლა ლიტერატურა და ფილოსოფია, სრულყოფილად დაეყფლა რიტორიკასა და დიალექტიკას. გასათვალისწინებელია, რომ ათენის ფილოსოფიურ სკოლას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. იოანე ოქროპირი დიდგვაროვანთა ოჯახში აღიზარდა. სახლში მან ბრწყინვალე პირველდაწყებითი განათლება მიიღო. შემდგომში იგი მჭერმეტყველებას სწავლობდა ზემოხსენებულ რიტორ ლიბანიოსთან. წმინდა იოანე სახელგანთქმული მასწავლებლების დიოცისტესა და ფლავიანეს სკოლაში შეისწავლიდა წმინდა წერილს, პროფესიით ის ადვოკატი იყო. იურისტობა კი იმ პერიოდში უაღრესად პრესტიჟულ სპეციალობად ითვლებოდა. ბრწყინვალე განათლება ჰქონდა მიღებული გრიგოლ ტურელსაც. კარგი განათლება მიიღო წმ. ათანასე ალექსანდრიელმაც. მან იცოდა პომეროსი, ფილოსოფია, ესმოდა რომის სამართალი, შეისწავლა საღვთო წერილი. რაც შეეხება წმ. ეფრემ ასურს, მას ასე ახასიათებენ თანამედროვენი: „ღირსი ეფრემი კარგად უხამებდა მოსაგრე ცხოვრების ღვანლს საღვთო წერილის შესწავლას, რომლიდანაც ... სიბრძნეს მოიპოვებდა.“ ...წმინდა იოანე დამასკელმა სრულყოფილად შეისწავლა ფილოსოფია, გრამატიკა, საღვთო წერილი, სხვადასხვა საბუნებისმეტყველო საგნები. თეოდორე სტუდიელმაც საფუძვლიანი განათლება მიიღო კონსტანტინოპოლის საუკეთესო რიტორებთან, ფილოსოფოსებთან და ღვთისმეტყველებთან. წმ. თეოდორე ხშირად ებმებოდა კამათში ხატების თაყვანისცემის შესახებ. ორატორული ხელოვნების სრულყოფილ ფლობას, ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა და ლოგიკის ცოდნას და, რაც მთავარია, ღრმად შეთვისებულ ქრისტიანულ დოგმატიკას და საღვთო წერილში განსწავლულობას ყოველთვის გამარჯვება მოჰქონდა მისთვის მწვავე სიტყვიერ პაექრობაში. კლიმენტი ალექსანდრიელის განსწავლულობის დამადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ მაქსიმე აღმსარებლის შეფასება, რომელიც მას ფილოსოფოსთა ფილოსოფოსს უწოდებდა. თავისი ღროის ჭეშმარიტი ენციკლოპედისტი იყო წმ. პატრიარქი ფოტიოსი,

რომელსაც ნაშრომები აქვს ეგზეგეტიკაში, დოგმატიკაში, ლიტერატურის ისტორიაში, საეკლესიო სამართალში, ლექსიკოლოგიაში. იგი იმდენად განათლებული ადამიანი იყო, რომ იმპერატორმა თავისი შვილების აღზრდა მიანდო. წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი წმინდანზე წერს: „ხოლო გულისხმიერებაი სწავლისაი განსაკვირვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ დაისწავლა დავითნი და ხმითა სასწავლელი სწავლაი საეკლესიო, სამოძღვრო, ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაიცა ისწავა მრავალთა ენათაი და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა, ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა, ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად...“ საფუძვლიანი განათლება ჰქონდათ მიღებული იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებს. არა მარტო ძველი მამები გამოირჩეოდნენ სწავლისადმი სიყვარულით. თანამედროვე მამებიდან მხოლოდ ამერიკელი მართლმადიდებლის სერაფიმე როუზის გახსენებაც კმარა. მას ჰქონდა ხელოვნების დოქტორის ხარისხი, ორიგინალში შეისწავლა ჩინური და ინდური ფილოსოფია, იუდაიზმი, გაეცნო სხვადასხვა მეცნიერებას, და რაც მთავარია, ბრწყინვალედ იცოდა მართლმადიდებლობა, რომლის ღრმად შესწავლისათვის მან საგანგებოდ სრულყოფილად აითვისა ძველი სლავური და რუსული ენები. შესანიშნავი მეცნიერი და პოლიგლოტი (8 ენის მცოდნე) იყო წმინდა გრიგოლ ფერაძეც. ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, ჩვენ მხოლოდ ერთს დავამატებთ, ამ მამათა ცხოვრება ჩვენთვის ცნობილი რომ არ ყოფილიყო, მათივე ნაშრომები დაგვარწმუნებდა იმ შესანიშნავ განათლებაში, ისინი რომ ფლობდნენ. საოცარია მათ მიერ არა მარტო ღვთისმეტყველების, არამედ სხვა სამეცნიერო დისციპლინების ცოდნაც. ბასილი დიდის ჰომილიებში ჩანს ბიოლოგიისა და ასტრონომიის ცოდნა, წმ. გრიგოლ ნოსელთან – მედიცინის. გრიგოლ ტურელს ისტორიული ნაშრომი აქვს დაწერილი – „ფრანგთა ისტორია“. წმინდა იოანე დამასკელის ნაშრომს მართლმადიდებლობის შესახებ წამდღვარებული აქვს ფილოსოფიური თავები. წმ. ირინეოს ლიონელს აპოლოგეტურ წიგნში მიმოხილული აქვს მაშინ არსებული თითქმის ყველა ერეტიკული სწავლე-

ბა. საგულისხმო სიტყვებით აფასებს ნეტარი იერონიმე მამ-ების განათლებას: „არც კი იცი კაცმა, რა უფრო გაგიკვირდეს მათი, უფლის სიტყვის წვდომა, თუ საერო განსწავლულობა“.

საერო განსწავლულობა, მაგრამ ამავე დროს სიფრთხილე

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მამები „გარეშე სიბრძნის“ შესწავლას სიფრთხილით ეკიდებოდნენ. აი, რას წერს გიორგი მერჩულე წმ. გრიგოლ ხანძთელზე: „ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაი ისწავა კეთილად და რომელი პოვის სიტყვაი კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჰერკვალი განაგდის“. იოანე დამასკელი ფილოსოფიური თავების შესავალში აღნიშნავს: „მიმსგავსებითა სახესა ფუტკრისასა მახლობელნი უკუ ჭეშმარიტებისანი გამოვკრიბნე და მტერთა-გან მაცხოვარება მოვისთულე, ხოლო განვყარნე ყოველნი, რაოდენი ურგებ და სახელმტყუარისა მეცნიერებისა მქონებ-ელ იყვნენ“. ამ თხბულების ქართულად მთარგმნელი ეფრემ მცირე ასე განვიმარტავს ფილოსოფიის მნიშვნელობას ქრისტიანობისთვის: „ვითარმედ ესევითარი არს საფილასო-ფოსოი სწავლაი, რომელი – იგი აქაცა საჭიროდ სახმარად შემოუღებიეს წმიდასა იოანე დამასკელსა, რაითა ამათ მიერ წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განპეგუმერდენ მათ, რა-მეთუ თვინიერ ამათ სიტყუათასა, სხუებრ შეუძლებელ არს სიტყვისგებაი წინააღმდგომთაი“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წმ. ბასილი დიდს სპეციალური ნაშრომი აქვს დაწერილი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიკითხოთ ანტიკური ლიტერატურა. კლიმენტი აღექსანდრიიელი წერს: „როგორც ბარბაროსულ ფილოსოფიაში, ასევე ელინურშიც „დაითესა ღვარძლი“ (მთ.13-25) იმ მიწათმოქმედის მიერ, რომელიც ღვარძლის თვისებისაა. ამის შედეგად, ერთი მხრივ, ჩვენ შორის ნაყოფიერ თავთავთან ერთად თანააღმოცენდა მწვა-ლებლობანი, ხოლო, მეორე მხრივ, ელინურ ფილოსოფი-აში ქადაგებულ იქნა ეპიკურეს უღმერთობა და ჰედონიზმი, აგრეთვე ყველაფერი ის, რაც მართალი სიტყვის გვერდით

დაითესა და რაც ღვთისგან ელინთათვის ბოქებული მიწათ-მოქმედების ცრუ ნაყოფებს წარმოადგენენ. მას „ამ საუკუნის სიბრძნედ“ სახელსდებს მოციქული“.

ძალა, რომელიც წმინდა მამებს ჰქონდათ, მიწიერ სიბრძნეს არ ეფუძნებოდა. გარეშე სიბრძნე იყო მხოლოდ იარაღი ჭეშმარიტების უკეთ გადმოსაცემად ან მის დასაცავად. ისინი იყენებდნენ ფილოსოფიურ ტერმინებს იმისათვის, რომ ადამიანურ ენაზე გადმოცათ ის ცოდნა, რაც მათ ზეციური ჭვრეტით მიიღეს. წმ. ბასილი დიდი აღნიშნავდა საერო ცოდნის საჭიროებას, მაგრამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს იყო მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი, რომლის შემდეგ ქრისტიანის გონება ზეციური ცოდნისკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. უკან მობრუნება, ძირს დაშვება, მისი აზრით, მიუღებელი უნდა ყოფილიყო სრულყოფის მოსურნე ქრისტიანისათვის. ამასვე ეთანხმება კლიმენტი აღექსანდრიელიც: „თვით პავ-ლეც თავის ეპისტოლეში არ ჩანს ფილოსოფიის მგმობელი, მაგრამ იგი მას, ვინც ეზიარა, „მცოდნეობით“ სიმაღლეს („გნოსტიკურ“ სიმაღლეს), აღარ უსურვებს კვლავ მიბრუნებას ელინური ფილოსოფიისაკენ“. საღვთისმეტყველო სკოლებში სწავლება, მსმენელთა განსწავლა იწყებოდა ზოგად-საგანმანათლებლო (ენციკლური) საგნების გაცნობით. ეს იყო მაგალითად, მათემატიკა, ასტრონომია, საბუნებისმეტყველო საგნები. ქრისტიანებს ჰერ ბუნებაში, მის ჰარმონიაში, მიწიერ საგნება და მოვლენებში უნდა დაენახათ ღვთაებრივი კანონზომიერება და შემდეგ თანდათანობით ამქვეყნიური-დან აემაღლებინათ თავიანთი გონება ზეციურისკენ, გადასულიყვნენ უშუალოდ ღვთისმეტყველების შესწავლაზე.

უფლის მაღლი – ჭეშმარიტი სიბრძნის წყარო

საღვთო მაღლის მიღებით გონების განბრძნობა მამებისათვის შემეცნების გზა იყო, რის შესახებაც ამბობს დავით წინასწარმეტყველი: „უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე“ (ფს. 50). საღვთო ჭეშმარიტების

შეცნობა შეუძლია მას, ვინც სინანულით შეიმოსება, თავმდაბლობას მოიხვეჭს, ვინც განწმენდილი გულით ლოცულობს, ვინც ითხოვს ღვთისაგან სიბრძნეს, ვითარცა სოლომონ მეფე, ვინც ისმენს მოციქულის დარიგებას: „და სიტყუაი ჩემი და ქადაგებაი ჩემი არა რწმუნებითა კაცობრივისა სიბრძნისა სიტყუათათა, არამედ გამოცხადებითა სულისდათა და ძალითა; რათა სარწმუნოება ეგე თქვენი არა იყოს სიბრძნითა კაცთათა, არამედ ძალითა ღმრთისათა“ (I კორინთ. 2.4-5). ამ საღვთო ზეშთაგონების მრავალი მაგალითი გვაქვს მამათა ცხოვრებაში:

წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედს წმ. მოციქულებმა აუწყეს სიზმრისეული ხილვით მრნამსის ტექსტი.³

წმ. ანტონს სასწაულით ეუწყებოდა ბუნდოვანი ადგილების განმარტება. იგი ასეთი სიტყვებით ევედრებოდა მაცხოვარს: „უფალო ღმერთო ჩემო, მომივლინე მე მოსე, რათა მასწავლოს მე პასუხი“.⁴

წმ. ეფრემ ასურს ანგელოზმა შეაჭამა იდუმალი წიგნი, რამაც გააძლიერა მისი სიტყვა.

პავლე მოციქულის ეპისტოლების განმარტებისას ერთმა ბერმა იხილა თავად პავლე მოციქული როგორ კარნახობდა იოანე ოქროპირს. წმინდა იოსებ მგალობელი (მელოდოსი) ღვთისგან ითხოვდა მადლს წმინდა ბართლომე მოციქულის სადიდებელი კანონის შესაქმნელად. მართლაც, ერთხელ საკურთხეველში მას თვით ბართლომე მოციქული გამოცხადა, რომელმაც იოსებს ტრაპეზის სახარება მკერდზე დაადო და უთხრა: „გაკურთხოს უფალმა, შენმა საგალობელმა დაატკბოს სამყარო“. ამ დალოცვის შემდეგ ღირს იოსებს საგალობლების შექმნის ნიჭი მიემადლა და 300-ზე მეტი კანონი შექმნა.

იხილეს, თუ როგორ ჩააგონებდა მტრედი რაღაცას წმ. გრიგოლ დიოლოდოსს, როდესაც ის ეკლესიის ამბიონიდან წინასწარმეტყველ ეზეკიელს განმარტავდა.

43-ე ფსალმუნის განმარტებისას წმ. ამბროსი მედიოლანელის პირიდან საღვთო ცეცხლი გარდამოვიდა.

წმ. გიორგი მთაწმიდელს, მისივე თქმით, „ექვსთა დღეთას“ თარგმნისას თავად წმინდა ბასილი დიდი შეეწეოდა.

გავიხსენოთ წმ. წერილის ცნობილი ადგილი მათეს სახარებიდან: „და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანენ თქვენ ჩემთვის საწამებლად მათდა და წარმართთა. და რაჟამს მიგცენ თქუენ ნუ ზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდეთ. რა-მეთუ არა თქუენ იყუნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუნისა, რომელი იტყოდეს თქუენ შორის“.

„დიოგნეტესადმი ეპისტოლეს“ ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ: „მადლი ივრცობა და მრავლდება წმინდათა შორის, რომლებსაც მისგან ენიჭებათ გონება და უმჟღავნდებათ საიდუმლონი“.

ბრძენი სულიწმინდის მადლით

იყვნენ მამები, რომელთაც არანაირი განსწავლულობა არ ჰქონდათ, მაგრამ მაინც განათლებულნი იყვნენ, რადგან საღვთო მაღლი იყო მათზე. კარგად ამბობს ამაზე სულთ-მოფენობის ტროპარი: „კურთხეულ ხარ შენ, ქრისტე, ღმერ-თო ჩვენო, რომელმანა ყოვლად ბრძნად მეთევზურნი გამო-აჩინენ, მიჰთინე რა მათზედა ყოვლადწმიდა სული შენი და მათ მიერ ყოველი სოფელი მოინადირე...“ კვლავ მოვუს-მინოთ ანონიმ ავტორს, რომელსაც ეკუთვნის „ეპისტოლე დიოგნეტესადმი“: „როგორც უკვე ვთქვი, არა თუ ამქვეყნიური რამ მოძღვრება გადაეცათ მათ, არათუ იმას იღვწიან ისინი, რომ კვდომადი აზრები დაიმარხონ, არა თუ კაცობრივ საიდუმლოებათა განგებულებას ერწმუნებიან; თავად ყოვ-ლისმპყრობელმა, ყოვლისშემოქმედმა და უხილავმა ღმერ-თმა, თავად მან ცათაგან დააფუძნა კაცთა შორის ჭეშმარიტე-ბა – წმიდა და გონებით აღუთქმელი სიტყვა; მათ გულებში

დაამტკიცა მან იგი... თუმცა მათი მოძღვრება ცნობისმოყვარე კაცთა გონების ნაყოფი როდია! არც თუ ადამიანურ სწავლებებს იმარხავენ ისინი ზოგთა მსგავსად“. „კლიმენტი ალექსანდრიელი თავის „სტრომატაში“ ეხმიანება ამ საკითხს: „რადგანაც მაცხოვარი მისიანებს საღვთო, მისტიური სიბრძნით ასწავლის ყველაფერს და არა კაცობრივად... არა თუ ზედაპირულად სმენა გვმართებს, არამედ გონება უნდა მივაახლოთ მაცხოვრის სულისა და აზრის იდუმალებას“. ვის შეუძლია მიეახლოს მაცხოვრის აზრის იდუმალებას? ის, ვინც დაიმარხავს დავით მეფის სიტყვებს: „მონაი შენი ვარ; მეცნიერ-მყავ მე და გულის-ხმა ვყვნე წამებანი შენნი“.

ღვთის გარეშე სიბრძნის მოხვეჭა შეუძლებელია

ღვთის გარეშე სიბრძნის მოხვეჭა შეუძლებელია. ამას გვიდასტურებენ წმინდა მამები: წმ. იუსტინე: „ამგვარად განგვიცხადა მან ყოველივე, რასაც მხოლოდ მისი მადლით შევიმეცნებთ წმ. წერილიდან“. წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედი: „უნდა კი ვისმეს ქმნილებათაგან ღვთის შემეცნება ან საღვთო წერილის გაგება? მისი ამ ყოვლადსრულყოფილი სიბრძნის გარეშე ვერ შეძლებს იგი გაიგოს რამე“. წეტარი ავგუსტინე თვლიდა, რომ ღვთისმეტყველების ამოცანა იყო: „გონების თვალით შეცნობა იმისა, რაც უკვე მივიღეთ რწმენით“.

წმინდა მამათა ერთსულოვნება

ჭეშმარიტ ქრისტიანებს სხვებზე მეტად შეუძლიათ ღვთის ჭეშმარიტების წვდომა, მაგრამ მათი ადამიანური შეზღუდულობის გამო ეს სრულყოფილად მაინც ვერ ხერხდება. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „...წმ. ადამიანებს, მეტადრე ამაღლებულებს, ხელეწიფებათ ღვთის დიდების ჭეშმარიტი ჭვრება, სრულად კი არა – ეს შეუძლებელია, მაგრამ სხვებზე გაცილებით უკეთ“. ეკლესია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს

წმ. მამათა აზრების თანხვედრას კონკრეტული შეხედულების ჭეშმარიტებაში დასარწმუნებლად. ამას მამათა ერთსულოვნება (კონსესუს პატრუმ) ეწოდება. აი, რას ამბობს ბიკენტი ლირინელი: „რასაც ყველა მამა ან მამათა უმრავლესობა ერთსულოვნად, აშკარად და ყოველთვის იწყნარებს, ის უნდა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად და უეჭველად“.

სამწუხაროდ, ცოდვით დაცემული ადამიანი ხშირად არ მის-დევდა სახარებისეულ სწავლებას, მისი ამპარტავანი გონება ცდილობდა კაცობრივი ლოგიკით აქხსნა სამყარო, თან ისე, რომ წინასწარ გული ცოდვებისაგან არ გაეწმინდა. წმინდა წერილი კი გვასწავლის: „ყოველივე წმიდა არს წმიდათათვის; ხოლო შეგინებულთათვის და ურნმუნოთა არა რაი არს წმიდა, არამედ შეგინებულ არს მათი გულიცა და გონებაიცა“ (ტიტე 1.15). და კიდევ: „ბოროტის მოქმედსა სულსა არა შევიდეს სიბრძნე“ (სიბრძნე 1.4). ასეთი გზით მოპოვებულ „სიბრძნეს“ მოციქული „ამ საუკუნის სიბრძნეს“ უწოდებს. წმ. წერილი და მამები ამხელენ ამგვარ სიბრძნეს: „ის (ღმერთი) იჯერს ბრძენვაცებს მათივე ცბიერებით და ხრიკიანთა თათბირი ფუჭი ხდება“ (იობი 5.13). ძვ. აღთქმა უგუნურს უწოდებს ურნმუნო ადამიანს: „თქვა უგუნურმა გულსა შინა თუისსა, არა არს ღმერთი“, „ელინებსაც ჰყავთ ბრძენნი, თუმცა არ არიან ისინი ბრძენნი, განა შეიძლება უწოდო ბრძენნი მათ, რომელთაც ვერ შეიცნეს უმაღლესი არსი – ღმერთი, პირველმიზები ყველა სიკეთისა“. ეხმიანება ფსალმუნის სიტყვებს წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველი.

სისულელედ ქცეული სიბრძნე

მოძღვრება, რომელიც ქრისტემ იქადაგა, ამსოფლიური აზროვნების მქონე ადამიანთათვის ძნელად მისაღები გახდა. წმ. იუსტინე: „ბევრ ადამიანს, რომელსაც არ ჰქონდა გულისხმისყოფის მადლი, მოეჩვენა, რომ ეს (ქრისტიანული) დოგმატები არაგონივრული და ღვთისთვის შეუფერებელი იყო“. ადამიანური გონება იმდენად დასცილდა ღმერთს, რომ სი-

ბრძნე მას სისულელედ მოეჩვენა მაშინ, როცა სწორედ მისი „სიბრძნე“ იყო სისულელე. აი, რას წერს მოციქული პავლე: „რამეთუ წერილ არს: წარვსწყმიდო სიბრძნე იგი ბრძენთა, და მეცნიერება იგი მეცნიერთა შეურაცხ-ვჰყო. სადა არს ბრძენი? სადა არს მწიგნობარი? სადა არს გამომეძიებლი იგი ამა სოფლისა? რამეთუ ვინათგან სიბრძნითა მით ღმრთისათა ვერ იცნა სოფელმან სიბრძნითა თუისითა ღმერთი, ჰერ იჩინა ღმერთმან ქადაგებითა მით სისულელისათა ცხოვრება მორწმუნეთა მათ“ (I კორინთ. 1. 19-21); „რამეთუ სულელი იგი ღმრთისა უბრძნეს კაცთა არს...“ (იქვე 1.25).

მწიგნობრებმა ვერ შეიცნეს ღმერთი, თუმცა სჯული ზედმიწევნით იცოდნენ. მათვის წიგნიერება დაბრკოლებად იქცა ჭეშმარიტების შეცნობის გზაზე. ამის მიზეზი სიყვარულის ნაკლებობა იყო. ათენშიც, რომელიც იმ დროს წარმართული ფილოსოფიის ცენტრს წარმოადგენდა, ვერ მიიღეს მოციქულის ქადაგება. აი, ასეთ ცოდნაზე წერს პავლე მოციქული: „მეცნიერებაი განალაღებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“. (I კორინთ. 8.1), „ნუ ვინ თავსა თუისსა აცდუნებნ, უკეთუ ვისმე ბრძენ ჰგონიეს თავი თუისი თქვენ შორის ამა სოფელსა, სულელ იქმენინ. რაითა იყოს იგი ბრძენ, რამეთუ სიბრძნე ამა სოფლისათა სიცოფე არს წინაშე ღმრთისა, რამეთუ წერილ არს: რომელმან შეიპყრნას ბრძენნი სივერაგითა მათითა. და კვალად იტყუის: უფალმან უწყნის ზრახვანი ბრძენთანი, რამეთუ არიან ამაო“. (I კორინთ. 3. 18-20). და კიდევ: „იტყოდეს თავთა თვესთა ბრძენ და განცოფნეს“. (რომ. 1722).

„უკეთესია კარგი უცოდინარობა, ვიდრე ცუდი ცოდნა“

ვინ მოთვლის, რამდენ ასეთ ბრძენს დაუღუპავს თავი და თავისი სწავლებით სხვებიც წარუწყმიდავს. გავიხსენოთ თუნდაც ყოვლადგანსწავლული ორიგენე, კამათის დიდოსტატი არიობი, მჭევრმეტყველებით სახელგანთქმული ნესტორი, განსწავლულობით ცნობილი დიდიმი ბრმა, ევსები ნიკომი-დიელი, აპოლინარი... განა არ სჭობდა მათთვის უწიგნურ-

ნი ყოფილიყვნენ და ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰქონოდათ? რადგან წმ. ირინეოსის სიტყვებით რომ ვთქვათ: „უბრალო და ღვთისმოშიში კაცი ბევრად სჭობს ბინიერ და კადნიერ სოფისტს“. წმ. იოანე ოქროპირიც ეთანხმება ამ აზრს: „უკეთესია კარგი უცოდინარობა, ვიდრე ცუდი ცოდნა, რადგან ერთი თავისუფალია დანაშაულისაგან, მეორეს ვი არა აქვს შეწყალება“.

„ჩვენ გონებაი ქრისტესი გვაქუს“

წარმართული სიბრძნე უსუსურია ქრისტიანულ სიბრძნეს-თან შედარებით. აი, რას ამბობენ წმ. მამები ამის შესახებ: წმ. ათანასე დიდი: „ხოლო ღმრთის სიტყვამ (რაც ყველაზე უფრო საკვირველია) გადმოსცა რა თავისი სწავლება დარიბი გამოთქმებით, დაჩრდილა ყველა ბრძენი, მათი მოძღვრებანი არარაობად აქცია...“ წმ. ბასილი დიდი: „და მეტყველებამანცა და გამომთქმელობამან და ფილოსოფოსობამან მრავალნი უცალო ჰყვნეს, რომელთა ნივთი არს ტყუილი, რამეთუ გამომთქმელობაი იგი არა იქმნების თუინიერ ზღაპართა, არცა ფილოსოფოსობაი – თუინიერ ტყუილით მიმოქცევისა სიტყუათასა“. წმ. იოანე ოქროპირი: „წარმართნი ბრძენი ძაბავენ და აწვალებენ გონებას და ვერაფრით ხსნიან იმას, რაზეც ლაპარაკობენ...“ „ამა სოფლის სიბრძნის მეშვეობით ჩვენ ვერ ჩავწვდებით იმას, რაც ჩვენზე აღმატებულია: განა ცხადი არაა, როგორი სასარგებლოა სწავლების მიღება სულიერიდისაგან? ასეთი სწავლება ყველაზე მარტივი და ნათელია...“ „ხოლო ჩუენ გონებაი ქრისტესი გუაქუს“ (I კორ. 2.16). – ანუ სულიერი, ღვთაებრივი, რომელშიც არაფერია კაცობრივი: არა პლატონისა, არა პითაგორასი, არამედ თავისი ამცნო ქრისტემ ჩვენს გონებას“. წმ. იოანე დამასკელი: „ხოლო ჩუენ, მორწმუნენო, რომელთა უწყით, ვითარმედ საწარმართონი იგი ფილოსოფოსობანი განიოტეს ქრისტეს მიერ, ყოვლადვე ნუ თავს-ვიდებთ სწავლათაებრ არისტოტელესთა გამოთქმუმად ქრისტეს ქადაგებასა, ნუცა ვინმე პავლე სამოსატელი, არამედ ვითარცა პავლე ტარსელი ვქადაგებთ ქრისტესა“. წმ. გრიგოლ პალამა: „ელინნი ფილოსოფოსნი

და მათი მიმდევრები თვლიან, რომ მათი სწავლების გარეშე ცხოვრებაში არ ყოფილა არაფერი სასიკეთო, უმჯობესია ითქვას – სურთ ვითარება ასე წარმოადგინონ. მაგრამ არ ვყოფილვართ ჩვენ ამგვარად განსწავლულნი. გიორგი მერჩულე წმ. გრიგოლ ხანძთელზე წერს: „ხოლო გარეშესა ამას სიბრძნესა სოფლისასა ბასრობნ...“

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჭდომლის საგალობლებში ვკითხულობთ: „გიხაროდენ, სიბრძნისა ღმრთისა სავანეო, გიხაროდენ განგებისა მისისა სასწაულო, გიხაროდენ ფილოსოფოსთა სულელად გამომაჩინებელო, გიხაროდენ, სიტყუა-ხელოვანთა უსიტყუელობისა მამხილებელო, გიხაროდენ, რამეთუ სულელ იქმნეს მრავალ-ღონენი და გამომეძიებელნი – გიხაროდენ, რამეთუ დასჭნეს მოქმედნი იგი ზღაპართანი. გიხაროდენ ათინელთა თხბულებისა განმხეთქელო“.

წმინდა იოანე დამასკელიც შეისწავლიდა ანტიკურ ფილოსოფიას. მან წაუმძღვარა თავის ნაშრომს მართლმადიდებლური მოძღვრების შესახებ „საფილოსოფოსო თავნი“, მაგრამ ის, როგორც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მამა, უარყოფდა ანტიკურ ფილოსოფიას, როგორც ერთიან, სრულყოფილ სისტემას, თუმცა ფილოსოფიაშიც მამები ხედავდნენ და ამოკრებდნენ ჭეშმარიტების მარცვლებს.

მიწიერი სიბრძნე

რაც უფრო შორდებოდა კაცობრიობა ქრისტეს მიწიერი მოღვაწეობის პერიოდს, მით უფრო მძლავრობდა მიწიერი სიბრძნე, მით უფრო ავინროებდა – ღვთაებრივს. თანდათან გაბატონდა ადამიანური გონების კულტი. ქრისტიანული სიბრძნე კი მოძველებულად, ლამის სამუზეუმო ექსპონატად გამოცხადდა. დაიწყო ლაპარაკი სახარების ახლებურ წაკითხვაზე, დოგმატების მოძველებაზე. დაცემული ადამიანი კვლავ უმართებულოდ წაეპოტინა ცნობადის ხის ნაყოფს. თავით თვისით ბრძნობის ამგვარი სულისკვეთების

გავრცელება არ გამოჰქმდა არვით ბოლო დროის მამებს. კვლავ გაისმა სახარებისეული მხილება. წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი: „...დაცემული ადამიანი „ცრუ არს“, მისი განსჯიდან შეიქმნა „ცრუ აზროვნება“, ანუ ცრუ აზრთა წყობა, წარმოდგენათა ცრუ სისტემა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად პევანან მეცნიერებას, ხოლო სინამდვილეში თავისი არსით წარმოადგენენ ცალკეისა და დაცემის მომაკვდინებელი წყლულით დასწულებული გონების რეევას, ბოდვასა და სიშლეგეს“. „ღმრთის სიბრძნის“ მპოვნელს სჭირდება კიდევ კაცობრივი სიბრძნე? ნუ დაამცირებთ „ღმრთის სიბრძნეს“ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ასეთი უბრალო და თავმდაბალი ჩანს“. „უფალმა უპირველესად გონების დაცვა გვიძრძანა, რადგან იგია კაცის წინამძღოლი. თუკი გონება ჭეშმარიტი გზიდან გადაუხვევს, ადამიანის მთელი ცხოვრება შეცდომად გადაიქცევა“. წმ. თეოფანე დაყუდებული ასეთ ალეგორიას ხედავს ხატში, რომელზეც მიქაელ მთავარანგელოზი ფეხით თელავს სატანას. მიქაელ მთავარანგელოზი (ალეგორიულად) საღმრთო ჭეშმარიტების მორჩილი ჩვენი გონებაა, ხოლო სატანა – შფოთის მომტანი და ცრუ ბრძენი გონება, რომლისგანაცაა ყოველი შფოთი ოჯახსა თუ ეკლესიაში... ნურავინ იფიქრებს, რომ რწმენის სფეროში არაა ფილოსოფია... არა, სარწმუნოებრივ ჭეშმარიტებათა ერთობლიობა არის ყველაზე უფრო მოხდენილი, ამაღლებული, ნუგეშისმცემელი და განმასულიერებელი ფილოსოფია – ნამდვილი სისტემა, როგორსაც ვერ წარმოიდგენს ვერც ერთი სხვა ფილოსოფიური სისტემა. ოღონდ ამ ერთობის ჭვრეტამდე შეუძლებელია ერთბაშად მისვლა. საჭიროა ჭეშმარიტებათა თანმიმდევრობითი მიღება იმ სახით, როგორადაც მოგვეწოდება, ცრუ ბრძნობის გარეშე... როდესაც ყველა ჭეშმარიტება ერთად შეიკრიბება, მაშინ გონებაც, ლოცვით გაფაქიზებული, იხილავს მათ სიმწყობრეს და დატკბება ამით. ესაა სიბრძნე საუკუნითგან დაფარული“. წმ. თეოფანე დაყუდებულის აზრს ლოცვით გაფაქიზებული გონების შესახებ კარგად ეხმიანება წმ. ირინეოს ლიონელის შემდეგი ციტატა: „ჩვენი აზრი ეთანხმება ევქარისტიას და ევქარისტია ეხმარება ჩვენს აზრს.

თანამედროვე აზროვნების სახეს კარგად წარმოგვიჩენს სერბი მღვდელმთავარი ნიკოლოზ ზიჩელი: „...ეკლესიის მამებთან დაპირისპირების გამო თანამედროვე ადამიანმა უარყო ეს ყველაზე სრულყოფილი მეცნიერება (ქრისტიანობა – გ.ც.), უარყო ღვთაებრივი ცოდნა, ჩაებდაუჭა კაცობრივ უმეცრებას და ამით განაცხადა თავისი სიცოფე და უგუნურება“.

XX ს-ში მოღვაწე ერთი მღვდელმთავარი ასეთ შეფასებას აძლევს კათოლიკური და პროტესტანტული სწავლებების გავლენის ქვეშ მყოფ მართლმადიდებლებს: „რამეთუ განიძარცვეს სულიერი სიბრძნე ქრისტესმიერი, რომელი მკვიდრობს სიმდაბლესა შინა სიყვარულისასა და შეიმოსეს სიბრძნე განმხრწელი, ფუქნარმავალი; სიბრძნე, რომელიც ამპარტავნებასა და ბოროტებასა შინა მკვიდრობს და მეუფებს“:

თანამედროვე ადამიანს ნაკლებად აინტერესებს ბიბლია, წმ. მამათა ნაწერები, მათი „უბრალო“ სიბრძნე, სამაგიეროდ დიდ პატივშია მიწიერი, ფორმით პომპეზური, ტერმინებით უხვად დატვირთული „სიბრძნე“ ადამიანებისა, რომლებიც ამპარტავნებით არიან შეპყრობილნი. ამ „სიბრძნით“ დაბრმავებული ქვეყანა არა მარტო ვერ იღებს სწორ წარმოდგენას ღმერთზე, საკუთარ თავსა და სულიერ სამყაროზე, არა ამედ შეიბილწება უკუღმართი წარმოდგენებით, რომელიც ხრწიან გონებას და უკარგავენ მას ჭეშმარიტებასთან ზიარების უნარს.

ყოველივე ზემოთქმულს საოცარი სიზუსტით აჯამებს სახარებისეული წინასწარმეტყველება, რომელიც დღეს უაღრესად აქტუალურად ჟღერს: „რამეთუ იყოს უამი, ოდეს სიცოცხლისა ამას მოძღურებასა არა თავს-იდებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თავისა თვისისა შეიკრებდენ მოძღუართა ქავილითა ყურთაითა, და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი თვისნი გარემიიქციენ და გლაპრებსა მიექცენ“. (II ტიმ. 4.3-4).

¹ წმ. იუსტინე ფილოსოფოსს როდესაც ჰკითხეს, თუ რატომ ატარებდა ფილოსოფოსის მანტიას გაქრისტიანების შემდეგ, მან უპასუხა, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფოსი მაშინ გახდა, როდესაც მოინათლა.

² ლიბანიოსი იმდენად სახელმოხვეჭილი პედაგოგი იყო, რომ მასთან განისწავლა მომავალი იმპერატორი იულიანე განდგომილი.

³ ნიკეიისა და კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებებზე დამტკიცებული სარწმუნოების სიმბოლომდე არსებობდა წმინდა მამების მიერ გამოთქმული სხვა მრწამსის ტექსტები, რომელთა შორის იყო წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედის მრწამსი.

⁴ პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ეთიოპიელი საჭურისის შემთხვევასთან, რომელმაც მოციქულ ფილიპეს შეკითხვას, ესმის თუ არა წინასწარმეტყველის სიტყვები, უპასუხა: „ვითარ-მე მეძლოს უწყებად, არა თუ ვინმე იყოს წინამდღვარ ჩემდა“ (საქმე 8.31).

მართლმადიდებლური სწავლება და მეცნიერება

ალექსი გერასიმოვი

ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი

ყოვლად სამღვდელონო მეუფენო, მამანო, დედანო, ბა-
ტონებო და ქალბატონებო

სანამ მოხსენების თემაზე გადავიდოდე, მინდა ბოდიში მოვ-
იხადო სამღვდელოთა წინაშე, თუ სათანადო მაგალითებს
ვერ მოვიყვან სასულიერო ლიტერატურიდან ჩემი მნირი
ცოდნის გამო და მეცნიერების წინაშე იმის გამო, რომ მოხ-
სენება მოკლებული იქნება იმ სიმკაცრეს, რომელიც ჩვეუ-
ლია მეცნიერებისათვის.

„მიგვაჩნია, რომ მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა
ჰქონდეს მჭიდრო კავშირი მეცნიერებთან და ის სასიცოცხ-
ლო და, შეიძლება ითქვას, საბედისწერო საკითხები, რომ-
ლებიც აღელვებს მსოფლიოს, ეკლესიის ყურადღების მიღმა
არ უნდა დარჩეს“ (პატრიარქ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე,
2003 წელი). ასეთია ჩვენი ეკლესიის პოზიცია მეცნიერების
მიმართ. მეცნიერება ოდითგანვე ვითარდებოდა ეკლესიის
წიაღმი, სადაც შეგირდებს ღვთისმეტყველებასთან ერთად
ასწავლიდნენ იმდროინდელი ცოდნის შესაბამის საბუნები-
სმეტყველო დარგებს. ცნობილია, რომ ბევრი ფუნდამენ-
ტური აღმოჩენა, სწორედ, ღვთისმსახურებს ეკუთვნის. მაგ-
ალითისთვის საკმარისია გავიხსენოთ ნიკოლა კოპერნიკი
(ჰელიოცენტრული სისტემის ავტორი) და გრეგორ მენდელი
(გენეტიკის ფუძემდებელი). ასე რომ, მეცნიერებასა და რე-
ლიგიას შორის არ იყო წინააღმდეგობა მე-17 საუკუნემდე.

მე-17 საუკუნეში ფიზიკაში შემოდის კვლევების ექსპერი-
მენტული მეთოდები და იწყება ფიზიკის მათემატიზაცია. ეს
ის პერიოდია, როცა ფიზიკური შეძლეს ბუნების მოვლე-

ნებზე წარმოდგენების ისე გამარტივება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი აღწერა მათემატიკის გამოყენებით. ამან დააჩქარა მეცნიერების განვითარების ტემპი. ხოლო მე-20 საუკუნეში, ნახევარგამტარული ხელსაწყოების შექმნის შედეგად, აჩქარება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ნახევარგამტარული ხელსაწყოების გარეშე არ იქნებოდა არც თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა, არც კოსმოსური კვლევები, არც უნიკალური სამედიცინო აპარატები, არც ინფორმაციული ტექნოლოგიები და სხვა (სწორედ ამის გამო კაცობრიობის ყველაზე დიდ მიღწევად მე-20 საუკუნეში ნახევარგამტარული ხელსაწყოების შექმნაა აღიარებული). დღეისათვის მეცნიერებამ და ტექნოლოგიამ მანამდე წარმოუდგენელ სიმაღლებს მიაღწია, რასაც ხელი შეუწყო მიკროელექტრონიკის განვითარებამ. მიკროელექტრონიკა, როგორც სახელი გვაუწყებს, ოპერირებს მიკრონების ზომების ($1\text{m}\text{i}\text{c}\text{r}\text{o}\text{n}\text{e} = 10^{-6}$ მ არის მეტრის 1 მემილიონედი) ნახევარგამტარული ხელსაწყოებით (მიკროელექტრონული ხელსაწყოს, მაგალითად ტრანზისტორის, ზომის სიმცირის შესაფასებლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენი გადაჭრილი თმის ფართზე ასი ხელსაწყო დაეტევა). უკვე მიმდინარეობს ნანოელექტრონიკის განვითარება (1 ნანომეტრი = 10^{-9} მ, არის მეტრის 1 მემილიარდედი), ე.ი. ელექტრონული ხელსაწყოების ზომები 1000-ჯერ შემცირდება, ხოლო მათი მუშაობის სიჩქარე 1000-ჯერ გაიზრდება. ეს კი კიდევ უფრო დიდ შესაძლებლობებს მისცემს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას. მაგალითად, შეიქმნება ისეთი მცირე ზომის ნანო-კომპიუტერი, რომელიც შეიძლება შეყვანილი იყოს ორგანიზმი და გადაადგილდებოდეს სისხლთან ერთად. იგი ორგანიზმის დაზიანებული ადგილების შესახებ მიაწვდის ინფორმაციას ექიმებს, რომლებიც ნანოკაფსულების საშუალებით ზუსტად დაზიანებულ ადგილს მიაწვდიან სათანადო წამლებს. ეს გააუმჯობესებს მკურნალობის ეფექტურობას და საგრძნობლად გაზრდის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ნანო-კომპიუტერი ადამიანის საზიანოდაც შეიძლება იყოს გამოყენებული. მაგალითად, ადამიანის ზომბირებისთვის, თუ ნანოკომპიუტერი

დაპროგრამირებული იქნება ისე, რომ მან მიაღწიოს ადამიანის ტვინის ისეთ არეს, რომელიც აძლევს სიგნალს ადამიანს მოქმედებისთვის. ასეთი ნანო-კომპიუტერი გადასცემს ტვინის სათანადო არეს გარედან მიღებულ სიგნალს და აიძულებს ადამიანს შეასრულოს ყველა მიღებული ბრძანება. მომავალში ნანოელექტრონიკა შეიცვლება ფოტონიკით. შეიქმნება ფოტონებით (სინათლით) მომუშავე გამოთვლითი მანქანები, რომელთა ზომები კიდევ უფრო მცირე იქნება, ხოლო მათი შესაძლებლობები – გაცილებით მეტი. ეს მისცემს კიდევ უფრო დიდ იმპულსს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ყველა დარგის განვითარებას, რაც ადამიანის ცხოვრებას კიდევ მეტად კომფორტულს გახდის. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამ განვითარებას, სამწუხაროდ, აქვს თავისი უარყოფითი მხარე – სმისი გამოყენება ადამიანის საზიანოდ! გავიხსენოთ I მსოფლიო ომში მომწამვლელი აირები, II მსოფლიო ომში ამერიკელების მიერ ატომური ბომბის ხმარება ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. დღესდღეობით მიუხედავად იმისა, რომ ნანომეცნიერება და ნანოტექნოლოგია განვითარების სტადიაშია, ამერიკამ და რუსეთმა უკვე შექმნეს ნანოტექნოლოგიების გამოყენებით საშინელი სიმძლავრის ვაკუუმური ბომბები, რომლებიც თავიანთი ნგრევის უნარიანობით ატომურ ბომბებს აღემატებიან, ამიტომ ამერიკელებმა მას „დედა“ ბომბი, ხოლო რუსებმა „მამა“ ბომბი უწოდეს. ამაზე მეტი ცინიზმის წარმოდგენაც კი ძნელია. ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სახელები მისი მოსპობის საშუალებებს დაარქვეს. ვაკუუმური ბომბი უფრო ნაკლებად საშიშია კაცობრიობისათვის, ვიდრე ატომური, რადგან მისი გამოყენება არ იწვევს გარემოს რადიაციულ დაბინძურებას და მისი დამანგრეველი მოქმედების შემდეგ პირდაპირ შეიძლება ტერიტორიის ათვისება. ატომური ბომბის შემდეგ კი ტერიტორია მინიმუმ 1000 წლით არის ყველასათვის დაკარგული ნარჩენი რადიაციის გამო. გარდა ამისა, ატმოსფერული მოვლენებისა და მიწისქვეშა წყლის ნაკადების მეოხებით თვითონ ატომური ბომბის გამომყენებელიც შეიძლება მოეცეს ნარჩენი რადიაციის მოქმედების ქვეშ. ასე რომ, ატომურ მომბს აქვს, ასე ვთქვათ, შინაგანი

მუხრანგი, ვაკუუმურ ბომბს კი – არა და მისი ხმარება გამო-
მყენებელს არავითარ საშიშროებას არ უქმნის. მეცნიერული
შედეგების კაცობრიობის საზიანოდ გამოყენების უამრავი
მაგალითი არსებობს და ეს სამწუხარო ფაქტი თვით ადამია-
ნის სულიერ მდგომარეობაზე დამოკიდებული. დღეისათვის
მეცნიერული მიღწევები წინ უსწრებს მათ სულიერ გააზრე-
ბას, რის გარეშეც წარმოუდგენელია კაცობრიობის სრული
პარმონიულობა. „სიცოცხლის მოსპობის საშიშროება მეც-
ნიერებისა და ტექნიკის სწრაფი ზრდით არის გამოწვეული.
ეს მცდარი აზრია... უბედურება ის არის, რომ კაცობრიობა ამ
მიღწევებს მოუმზადებელი შეხვდა“ (პატრიარქ ილია II-ის სა-
შობაო ეპისტოლე, 1984წ), და თუ ადამიანი გაითავისებს, რომ
„ნამდვილი ცოდნა ზნეობრივ და კეთილ საქმეებში ვლინდე-
ბა“ (პატრიარქ ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 1999წ.), მაშინ
ის მეცნიერულ მიღწევებს თავის საზიანოდ არ გამოიყენებს.
ადამიანის ზნეობა კი, როგორც პასკალი ამბობდა, მთლი-
ანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სკერა მას სუ-
ლის უკვდავება, ე.ი. ღვთის მოძღვრება და მისდევს მას.

დღეისათვის ყველა მეცნიერულ დარგში და მათ შესაბამის
ტექნოლოგიებში მიღწეულია განსაცვითრებელი შედეგები.
მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ გენეტიკა და
გენური ინჟინერია. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ასეთ-
მა მიღწევებმა მეცნიერების ნაწილს შეუქმნა ილუბია, რომ
მეცნიერების საშუალებით შესაძლებელია მთელი სამყაროს
საიდუმლოებათა (მათ შორის, სულიერის) ახსნა. უნდა გამოვ-
ტყდე, რომ მეც მეგონა, რომ მეცნიერებას ყველაფრის მიღ-
წევა შეუძლია. ჩვენი (მეცნიერთა) შეცომის ასახსნელად და
ცოტაოდენი გამართლებისათვის მინდა ის ფსიქოლოგიური
ზეგავლენა აღვნიშნო, რომელსაც მეცნიერი განიცდის თავისი
კვლევის პროცესის ბოლოს დადებითი შედეგის მიღებისას.
მეცნიერს გონებაში მოსდის აზრი რაიმე მოვლენის შესახებ,
შემდეგ მოიფიქრებს მის დასამტკიცებელ ღონისძიებას (ეს
შეიძლება იყოს ახალი ლიტერატურული წყაროების მოძიე-
ბა, ან ექსპედიცია, ან ახალი ექსპერიმენტის გეგმა და სხვ.).
შეასრულებს რა მას და მიიღებს შედეგს, რომელსაც მოელო-

და, ეს ევრიციზმის გრძნობა (გავიხსენოთ ქუჩაში მორბენალი არქიმედე ყვირილით „ევრიკა“, რომელიც აბანოდან გამოვარდა, სადაც მას მოუვიდა აზრი თავისი კანონის შესახებ. როცა სავსე ავტში ჩაწვა და ავტიდან მისი სხეულის მოცულობის წყალი გადმოიღვარა, იგი მიხვდა, რომ მის სხეულზე მოქმედებს მის მიერ დაკავებული მოცულობის წყლის წონის ტოლი ამომგდები ძალა) იმდენად დიდი დადებითი სტრესია (მე ეს გრძნობა რამდენიმეჯერ გამოვცადე და ღმერთს ვევეფრები, კიდევ განმაცდევინოს), რომ ძნელია ამის შემდეგ მეცნიერების ყოვლისშემძლეობა არ ირწმუნო, მაგრამ მეცნიერების მეთოდების მშვიდი ანალიზის შედეგად ხვდები, რომ მეცნიერება, მიუხედავად მისი სიძლიერისა, მაინც მოდელურია და მისი წარმოდგენები ბუნების მოვლენის შესახებ დროთა ვითარებაში იცვლება. „პირველი ყლუპი ბუნები-სმცოდნეობის ფიალიდან ათეიზმს ბადებს, მაგრამ სასმისის ფსკერზე ჩვენ გვიცდის ღმერთი!“ (ვერნერ ჰაიბენბერგი, ნობელის პრემიის ლაურეატი). მართალია, ათეისტი არ ვყოფილვარ, მაგრამ „პირველი ყლუპი“ ძალზედ გამიგრძელდა, სანამ საპატრიარქოს ტელევიზით „ერთსულოვნება“ არ მოვისმინე ჩემი მოძღვრის, დეკანოზ ზურაბ ცხოვრებაძის საუბარი ღვთაებრივ და ამსოფლიურ სიბრძნეზე და დავფიქრდი. მოძღვართან საუბარმა და ფიქრმა მიმიყვანა „სასმისის ფსკერამდე“ და იმ აზრამდე, რომლის გადმოცემასაც მე ამ მოხსენებაში ვაპირებ, რომ მეცნიერული ცოდნა ჭერ ძალზე შორს არის სინამდვილისგან. სამწუხაროდ, ყველა მეცნიერი ჭერჲერობით ან არ დაფიქრებულა, ან საერთოდ არც აპირებს დაფიქრებას ამ თემაზე და ამიტომ აგრესიულად არის განწყობილი ბიბლიური სიბრძნის მიმართ. ეს კი მათ დეპუ-მანიზაციას იწვევს. „მეცნიერებასა და ტექნიკაში საოცარმა აღმოჩენებმა მისი (ადამიანის) გონება უსაზღვრო სიამყით აღავსო, მან უარყო ყოველივე, რასაც თავისი აზროვნებით ვერ მისწვდა“ (პატრიარქი ილია II-ის საშობაო ეპისტოლე, 1999 წ.), ამიტომ საშუალო დონის მეცნიერთა დიდმა ნაწილმა ღვთის რწმენა ზედმეტად მიიჩნია და ბიბლიაში გადმოცე-მული ცოდნა (იმის გამო, რომ, როგორც მიაჩნიათ, იგი „არ ეთანადება თანამედროვე მეცნიერულ შეხედულებებს“, რო-

მელიც, სხვათა შორის, დროის მიხედვით იცვლება) დოგმად და ლეგენდად აღიქვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოჩენილ მეცნიერთა დიდ წანის სწამს ღმერთი და არ უარყოფს ბიბლიურ ცოდნას (კეპლერი, ნიუტონი, პასკალი, დეკარტი, დარვინი, პასტერი, ტომპსონი, პლანკი, აინშტაინი, პაიზერბერგი, სახაროვი, შიპოვი და სხვა.) აგრესიულ მეცნიერებს ყველაზე მიუღებლად მიაჩნიათ ბიბლიური ცოდნა სამყაროსა და ადამიანის წარმოშობისა და სასწაულის შესახებ. ბიბლიაში მოყვანილ შემოქმედის მიერ 7500 წლის წინათ სამყაროსა და ადამიანის შექმნა დოგმად მიაჩნიათ. ამას ისინი უპირი-სპირებენ სამყაროს მეცნიერულ მრავალმილიარდიან ასაკს და ევოლუციის თეორიას, ხოლო სასწაულის შესახებ მათში პოპულარულია გამოთქმა: „ცნობილია, რომ ბუნებაში სასწაული არ არსებობს“. აქ შეიძლება გვეთქვა, რომ მეცნიერული ცოდნა ადამიანის მიერ მოპოვებული მიწიერი ცოდნაა, ხოლო ბიბლიაში ღვთიური წარმომავლობის სიბრძნეა გადმოცემული, ამიტომ მათი შედარება არ შეიძლება, და ვისაც შემოქმედი სწამს, მას ბიბლიაში მოცემული სიბრძნეც სწამს. მაგრამ მასაც კი, რადგან უფალმა ადამიანს აზროვნების უნარი მომადლა, უჩნდება კითხვა: რატომ განსხვავდება ერთ-მანეთისაგან ბიბლიური და მეცნიერული ცოდნა? ამიტომ, ჩვენი აზრით, საჭიროა ვცადოთ ამ კითხვაზე პასუხი გაცემთ აზროვნების იმ მიწიერი საშუალებების გამოყენებით, რომლებითაც მეცნიერება სარგებლობს.

იმისათვის, რომ მეცნიერებამ უარყოს ან ახსნას ბიბლიური ცოდნა, თვითონ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და სრულყოფილი, არ უნდა შეიცავდეს წინააღმდეგობებს და ხსნიდეს მის მიერ აღმოჩენილ ყველა მოვლენასა და მოპოვებულ ფაქტს, რაც, ბევრ შემთხვევაში, არ ხდება. ქვემოთ ვაჩვენებთ, რომ დღეისათვის არსებობს უამრავი მოვლენა და ექსპერიმენტული ფაქტი, რომელთა ახსნა თანამედროვე მეცნიერებას არ ძალუდს. უკვე აღვნიშნეთ, რომ მეცნიერება ვითარდება აჩქარებული ტემპით, მაგრამ სრულყოფილის განვითარება შეუძლებელია. როცა მე ვლაპარაკობ მეცნიერების არასრულყოფილებაზე, ვგულისხმობ, არა დაკ-

ვირვებულ მოვლენებსა და მოპოვებულ ფაქტებს, არამედ იმ წარმოდგენებს, რომლებიც გამოიყენება მათ ასახსნელად და, როგორც მეცნიერების ისტორია გვიჩვენებს, დროთა გან-მავლობაში მეცნიერების ეს წარმოდგენები იცვლება ახლით.

ჩემს მოხსენებაში მე განვიხილავ მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის მატერიალურ სამყაროს და აქვს საკმაოდ დიდი მიღწევები, არ შევეხები სულიერ სამყაროს, რომლის შეს-წავლას მეცნიერება ახლა იწყებს. ვეცდები ვაჩვენო, რომ მეცნიერება ჰერკერობით არ არის იმდენად მომძლავრე-ბული და სრულყოფილი, რომ უარყოს ან ახსნას ბიბლიური სიბრძნე. ამას გავაკეთებ მეცნიერების იმ სისუსტეებისა და ნაკლოვგანებების ასახვით, რაც მას აქვს, კერძოდ, დროთა განმავლობაში მეცნიერების წარმოდგენების ცვლილების გამოაშვარავებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერების მთა-ვარი იარაღის – ექსპერიმენტის არასრული ადეკვატურობის ჩვენებით იმ მოვლენასთან, რომლის შესასწავლადაც იგი არის განკუთვნილი. ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერების ბაზისური ცნებების – მატერიისა და დროის განმარტებების არასრულყოფილებით.

სანამ გადავიდოდე ჩემი მოსაზრების ჩამოყალიბებასა და დასაბუთებაზე, საჭიროდ მიმართია იმ ტერმინების დაზუსტე-ბა, რომლებსაც გამოვიყენებ მომავალ მსჯელობაში, რადგან ტერმინების არაიდენტური აღქმა ბადებს უსაფუძვლო გაუგე-ბრობას მოსაუბრეთა თუ მოკამათეთა მორის.

- „ჭეშმარიტება – ადამიანის ცოდნის შესაბამისობა სინამდვილესთან, ადამიანის აზრისა და ობიექტის თანხვე-დრა. ...ჭეშმარიტება განსაზღვრავს თანხვედრის ზოვარს ადამიანის ცოდნასა და სინამდვილეს შორის. ჭეშმარიტების თარდობითობა არის მისი ძუნებრივი თვისება და იძლ-ევა მხოლოდ შემოსაზღვრულ ცოდნას ობიექტის შესახებ. ამავე დროს იგი მიუთითებს ადამიანის შესაძლებლობების შემოსაზღვრულობასა და მათ ცვლილებებზე. ჭეშმარიტება თვით ხდება განმსაზღვრელი ადამიანის შესაბამისობისა

იმ პრობლემის დონესთან, რომლის გადაჭრასაც იგი ცდილობს“ (თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკონი, 1998წ.) აქვე შევნიშნავ, რომ მეცნიერული ჯეშმარიტების ეს ტერმინი, თავისი ფარდობითობის გამო არ გამოდგება და ჩვენ ჯეშმარიტების ქვეშ ვიგულისხმებთ სინამდვილეს, რომელიც მეცნიერების განვითარების დონეზე არ არის დამოკიდებული.

- **„გაგება – ყოფიერების განსაკუთრებული მდგომარეობა, ყოფიერებისა „აქ-ახლა“. გაგებას მივყავართ ცოდნამდე. გაგება განმსჭვალავს ყველა ურთიერთობას ადამიანისა სამყაროსთან. გაგების ფენომენის ასახსნელად მეცნიერებას არ გააჩნია საკმარისი საშუალებები (თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკონი, 1998წ.).**
- **მატერია – მატერია არის ყველაფერი, რაც რეალურად არსებობს ბუნებაში (სამყაროში) და შეიძლება აღმოაჩინოს ადამიანმა გრძნობის ორგანოებით ან სპეციალური ხელსაწყოებით. არსებობს მატერიის ორი სახე – ნივთიერება და ველი (ზოგადი ფიზიკის კურსი).**
- **დრო – დრო გამოსახავს ერთმანეთის შენაცვლებადი პროცესების თანმიმდევრობას (ზოგადი ფიზიკის კურსი).**
- **დოგმა – დებულება, წარმოდგენა მიღებული რწმენით, დამტკიცების გარეშე (თანამედროვე ფილოსოფიური ლექსიკონი, 1998წ.).**
- **აზროვნება – არის ადამიანის უნარი დააკავშიროს წარმოდგენები, სახეები, ცნებები, განსაზღვროს მათი ცვლილებისა და გამოყენების შესაძლებლობები, დაასაბუთოს დასკვნები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანის ქცევას, ურთიერთობას და თვით აზრის შემდგომ მსვლელობას ... აზროვნება არის ადამიანის ქმედითი უნარი. რომლის საშუალებით მას შეძლია განახორციელოს განსაკუთრებული გვარის გარდაქმნები ობიექტებისა ისე, რომ რეალურად**

არ შეასრულოს მათზე ქმედება. აზროვნების ასეთი იდეალური მოქმედება არის კულტურის ფუნქციონირებისა და განვითარების პირობა.

- **მეცნიერება –** ადამიანის მოღვაწეობის სპეციფიკური ფორმა, ახდენს ცოდნის სისტემატიზაციას, შემოწმებას და ამის შედეგების გავრცელებას. ითვლება, რომ მეცნიერება ჩამოყალიბდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე ძველ საბერძნეთში, ხოლო განსაკუთრებული განვითარება დაიწყო მე-17 საუკუნიდან.

ჩემი აზრით, მეცნიერება უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: ადამიანის მოღვაწეობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც ახალი ცოდნის მიღებით, მისი სისტემატიზაციით და შედეგების გავრცელებით და შემეცნებითი პროცესის განვითარებით უზრუნველყოფს ადამიანის როგორც დსიქოლოგიურ, ისე მატერიალურ კომფორტულობას და იღებს საწყისს ადამის მიერ სამოთხეში ცხოველებისათვის სახელების დარქმევიდან.

ჩემი მოსაზრებების შემდგომ განხილვას ვაწარმოებ ფიზიკის მაგალითზე, რადგან იგი სხვა საბუნების მეტყველო მეცნიერებებთან შედარებით უფრო ჩამოყალიბებულია და წარმოადგენს მათ ბაზისს, რომელსაც ისინი ეყრდნობიან.

უკისინებენ რა ბიბლიას მეცნიერები, რომ მასში მოცემული ცოდნა დოგმებზეა დაფუძნებული, თვითონ მეცნიერებაც დოგმებს ეყრდნობა, ოღონდ მათ აქ პარადიგმებს, პრინციპებს და წესებს უწოდებენ (სამყაროს მატერიალურობის პარადიგმა, განუსაზღვრელობის პრინციპი, პაულის პრინციპი, სუნდის წესი და სხვა.), ე.ი.ფიზიკაც რაღაცის რწმენაზეა დაფუძნებული.

რამდენიმე მაგალითი დროთა ვითარებაში მეცნიერული წარმოდგენების ცვლილებისა. ატომი, როგორც მისი სახელწოდება მიგვანიშნებს, თავდაპირველად განუყოფელი ეგონათ. შემდეგ გაირკვა, რომ იგი რთული წარმონაქმნია –

შედგება პროტონებისაგან, ნეიტრონებისა და ელექტრონები-საგან, რომელთა დაცილება შეიძლება. მატერიის ერთ-ერთი ფორმა-ველი უწყვეტი ეგონათ, შემდეგ გაირკვა, რომ მას წყვეტილი (დისკრეტული) ბუნება აქვს. მენდელეევის პერიოდული სისტემის კანონზომიერება დადგენილი იყო ელემენტთა ატომური მასების გამოყენებით, ხოლო მეცნიერების განვითარებასთან ერთად აღმოჩნდა, რომ ეს კანონზომიერება განისაზღვრება პროტონების და გარე შრებე მყოფი სავალენტო ელექტრონების რაოდენობით. მოდაში შემოვიდა გამოთქმა „მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტი“, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტება, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს აზრი ან მოვლენა არ ეწინააღმდეგება იმ მეცნიერულ წარმოდგენებს, რომელიც ამ დროს აქვს მეცნიერებას და რომლებიც დროთა ვითარებაში შეიძლება შეიცვალოს. მაშინ „მეცნიერულად დამტკიცებული ფაქტი“ აღარ იქნება ჭეშმარიტება! აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, ანუ სინამდვილედ უნდა ვაღიაროთ ის, რის შესახებაც აზრი არ იცვლება. ადამიანს დასაბამიდანვე გაუჩნდა კითხვა სამყაროს აგებულების შესახებ. ალბათ ბევრ თქვენგანს ახსოვს გეოგრაფიის სახელმძღვანელოში უძველესი წარმოდგენების მიხედვით დახატული სურათი, სადაც ჩვენი პლანეტა გიგანტურ სამ კუბე ან სამ ვეშაპზე დაყრდნობილ დიდ თეთშს წარმოადგენდა, დღევანდელი გადასახედიდან სამყაროს ეს, მეტისმეტად პრიმიტიული მოდელიც კი შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს – მასში დედამიწა წარმოდგენილია სასრულო ზომით. შემდეგ, მეოთხე საუკუნეში, ქრისტემობამდე არისტოტელემ გამოთქვა მოსაზრება დედამიწის სფერულობის შესახებ. პტოლემეოსმა (II საუკუნე წვ. წ) ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შექმნა სამყაროს პირველი კოსმოლოგიური მოდელი, რომლის ცენტრში დედამიწა იყო მოთავსებული, ხოლო მის ირგვლივ უძრავი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ტატნობზე ბრუნავდნენ მზე, მთვარე და მაშინ უკვე ცნობილი ოთხი პლანეტა. აქაც არის ჭეშმარიტების მარცვალი: ციური სხეულები ბრუნავენ. სამყაროს ამგვარი გეოცენტრული სურათი დიდხანს იყო შენარჩუნებული, ვიდრე XVI საუკუნეში პოლონელმა ნიკოლა კოპერნიკმა არ წა-

მოაყენა ჰიპოთეზა სამყაროს ჰელიოცენტრული აგებულების შესახებ. თითქმის ასი წლის შემდეგ გერმანელმა იოჰან კეპლერმა და იტალიელმა გალილეო გალილეიმ დაადასტურეს კოპერნიკის ჰიპოთეზის მართებულობა, ანუ ის ფაქტი, რომ პლანეტები მართლაც მზის ირგვლივ ელიფსურ ორბიტებზე ბრუნავენ. დღეს ჩვენ ზუსტად ვიცით როგორ ორბიტებზე მოძრაობენ პლანეტები, როგორი პერიოდით უვლიან ისინი მზეს, შევვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ ამა თუ იმ მომენტში მათი კოორდინატები, მაშასადამე, ვიწინასწარმეტყველოთ ციური მოვლენები (მზის დაბნელება, მთვარის დაბნელება და სხვა). მაგრამ რჩება კითხვა: რა განაპირობებს მათ ასეთ მწყობრ, მდგრად მოძრაობას. ნიუტონი ამას ვრავიტაციით, ანუ მიზიდულობის ძალებით ხსნის, მაგრამ სამყაროს შექმნას და მოძრაობის პირველ ბიძგს ღმერთს მიაწერს. ისაავ ნიუტონის ეს თეორია არ მოსწონდა ალბერტ აინშტაინს. იგი თვლიდა, რომ პლანეტების მდგრად მოძრაობას განაპირობებს ოთხგანზომილებიანი სივრცე-დროის სიმრუდე. შემდეგ გამოჩნდნენ მეცნიერები, რომლებიც აკრიტიკებენ რა აინშტაინს, ცდილობენ ყველა მოძრაობა ახსნან ჰიპოთეტური სიმების რხევების მეშვეობით. ახლა გაბატონებულია, ეგრეთ წოდებული, დიდი აფეთქების თეორია, რომლის მიხედვით 12-14 მილიარდი წლის წინათ მოხდა ერთ წერტილში კონცენტრირებული სამყაროს აფეთქება, რის შედეგადაც სამყარო აჩქარებულად ფართოვდება და გალაქტიკები ერთმანეთს შორდებიან. სინამდვილეში ეს დებულება ჰიპოთეზაა და არა თეორია (ჰიპოთეზა-შინაგანი ლოგიკური წინააღმდეგობის არმქონე სავარაუდო აზრი, რომელიც დამტკიცების ან ცდებით შემოწმების შემდეგ თეორიად იქცევა), რადგან ზოგიერთი ექვერიმენტული ფაქტი მას ეწინააღმდეგება, მაგალითად, დამზერილია, რომ სამოცი გალაქტიკა ერთმანეთს კი არ სცილდება, არამედ უახლოვდება! ამიტომ გამოჩენილ მეცნიერთა საკმაოდ დიდი ჭგუფი, მათ შორის არის ნობელის პრემიის ლაურეატიც, ეწინააღმდეგება ამ ჰიპოთეზას, მაგრამ მათი სტატიების გამოქვეყნებაზე წამყვანი სამეცნიერო უურნალები უარს ამბობენ! გასაოცარი მეთოდია მეცნიერული ჭეშმარიტების მიღწევისა! ბოლო ხანებში კოსმოლოგიაში

გაჩნდა ახალი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამყაროში, გარდა ხილული მატერიისა, არსებობს ასევე უხილავი „ბნელი ენერგია“, რომელიც ცდილობს გალაქტიკები ერთმანეთს დააშოროს და „ბნელი მატერია“, რომელიც, პირიქით, ხელს უწყობს მათ ერთმანეთისაკენ მიზიდვას. ეს ახალი ჰიპოთეზა დღეს დამუშავების სტადიაშია. ასე რომ, კოსმოლოგიაში სხვადასხვა წარმოდგენები სამყაროს შესახებ ერთმანეთს ცვლიან და ვითარდებიან, ამავე დროს ინარჩუნებენ იმ ჭეშმარიტების მარცვლებს, რომლებიც მის წინამორბედებში იყო. მეცნიერების განვითარებისა და მისი არასრულყოფილების შესახებ უნმინდესი და უნტარესი ილია II ბრძანება: „ესათ ის თეორია ან ჰიპოთეზა შეიძლება ხვალ საერთოდ მიუღებელი აღმოჩნდეს ან უკეთესით შეიცვალოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ადამიანის გონება და მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და სრულყოფისაგან დაშორებული, მაშინ როდესაც ჭეშმარიტი ქრისტიანული სწავლება ისეთივეა, როგორიც I საუკუნეში“ (სააღდგომო ეპისტოლე, 2005 წელი). ისეთი მეცნიერიც კი, რომლის თეორია ეწინააღმდეგება ბიბლიურ ცოდნას, აღიარებს რომ: „მეცნიერების პროგრესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არასწორი თეორია შეიცვალოს სწორით, არამედ ერთი არასწორი თეორიის შეცვლაში მეორე არასწორით, ოღონდ დაზუსტებულით“ (სტივენ ჰოუკინგი, დიდი ათეთქების თეორიის ერთ-ერთი აპოლოგეტი).

ფიზიკა არსებული მოვლენების ასახსნელად იყენებს იდეალურ მოდელებს, მაგალითად, იდეალური აირის მოდელი, წრფივი თანაბარი მოძრაობა, რაიმე გასაზომი სიდიდის საშუალოს ცნება. თუ იდეალურ აირს ასე თუ ისე შეიძლება შევუსაბამოთ ძალზე გაიშვიათებული რეალური აირი, მაღალ ტემპერატურაზე, წრფივ თანაბარ მოძრაობას ვერაფერს შევუსაბამებთ, რადგან ასეთი მოძრაობა ბუნებაში არ არსებობს გალაქტიკების ბრუნვითი მოძრაობის გამო. აღნიშნული მოძრაობა გალილეიმ დაკვირვების შედეგად კი არ შემოიღო ფიზიკაში, არამედ დაშვებით, ანუ შეთანხმებით (რწმენით), რაიმე სიდიდის საშუალო მნიშვნელობაც (მაგალითად, რაიმე საწარმოს თანამშრომლების ან სპორტული გუნდის

წევრების საშუალო ასაკი, ან რომელიმე სოციალური ფენის საშუალო შემოსავალი) ბუნებაში არ არსებობს, იგი მხოლოდ გამოთვლით მიიღება. ე.ი. ფაქტიურად საქმე გვაქვს არა რეალურ სამყაროსთან, არამედ მის იდეალურ ანარეკლთან. „ის, რასთანაც ჩვენ საქმე გვაქვს დაკვირვებისას, არ არის საკუთრივ ბუნება, არამედ არის ბუნება, რომელიც მისაწვდომია კითხვების დასმის ჩვენი მეთოდისათვის“ (ვერნერ ჰაიზენბერგი, ნობელის პრემიის ლაურეატი).

ფიზიკოსები ექსპერიმენტის დაგეგმვის დროს მაქსიმალურად ცდილობენ მიუახლოვონ იგი შესასწავლ მოვლენას. მაგრამ იძულებულნი არიან განიხილონ ამ მოვლენის მხოლოდ ძირითადი თვისებები. მეორეხარისხოვანი თვისებების გათვალისწინების შემთხვევაში ექსპერიმენტი შეიძლება იმდენად გართულდეს, რომ მისი განხორციელება შეუძლებელი გახდეს. ფიზიკაში იდეალიზირებული ობიექტისა და ექსპერიმენტის ადეკვატურობა ბუნებრივ მოვლენასთან ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა იყო, არის და ალბად იქნება. „როგორც მაკრო, ისე მიკროსკოპულ დონეზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებები თავისუფლდებიან იმ ვიწრო კონცეფციისაგან, რომლის მიხედვითაც ჩვენი ექსპერიმენტები ასახავს ობიექტურ რეალობას“ (ილია პრიგოჟინი, ნობელის პრემიის ლაურეატი).

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერიმენტის ერთნაირი შედეგები მიიღება გაზომვების განსაზღვრული სიზუსტის ფარგლებში (რაც საკმარისად მიიჩნევა მოცემული ამოცანისათვის, რომელიც უზრუნველყოფს რაიმე ტექნოლოგიის შექმნას და მის განვითარებას კაცობრიობის სასარგებლოდ ან, სამწუხაონოდ, საზიანოდ). თუ გაზომვები უფრო დიდი სიზუსტით ტარდება, მაშინ შედეგები განსხვავდება. „მეცნიერების არსებობისთვის სრულიად აუცილებელია, რომ ერთსა და იმავე პირობებში ერთი და იგივე შედეგი უნდა იყოს მიღებული. სინამდვილეში კი ეს ასე არ ხდება!“ (რიჩარდ ფეიმანი, ნობელის პრემიის ლაურეატი). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ექსპერიმენტების შედეგები მცდარია, არამედ იმას, რომ იგი

სამართლიანია განსაზღვრულ ფარგლებში. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მოვლენა მთელი სისრულით არ არის წარმოდგენილი ექსპერიმენტში. მიუხედავად ამისა, ამ ექსპერიმენტულ შედეგებზე დაყრდნობით ყალიბდება თეორია ან კანონი, რომელიც სავსებით გამოსადევია, რათა ახსნას ერთი ტიპის მოვლენები იმ ფარგლებში, რის საშუალებასაც აძლევს ადამიანს მისი მოცემული დროის ინტელექტუალური და ტექნიკური შესაძლებლობები. თუ თეორიის ან კანონის გამოყენება იძლევა საშუალებას დამუშავდეს რაიმე ტექნოლოგია, მეცნიერები ამბობენ, რომ „თეორია მუშაობს“ განსაზღვრული მიახლოების ფარგლებში. ახალი ფაქტების აღმოჩენის შემდეგ, რომელსაც არსებული თეორია ვერ ხსნის, იქმნება ახალი თეორია, რომელშიც შეიძლება დარჩეს ან – არა, ძველი თეორიის რაღაც ნაწილი. ასე ხდება ადამიანის მიერ ღვთის შექმნილ სამყაროს შემეცნების განვითარება.

მატერიის განმარტებიდან ჩანს, რომ მეცნიერებს მატერიად მიაჩნიათ ის, რასაც ადამიანის გრძნობის ორგანოები და ტექნიკური საშუალებები აღიქვამენ. ტექნიკის განვითარებასთან ერთად მატერიის სულ ახალი ფორმები ჩნდება, ამავე დროს ხდება მატერიის უკვე ცნობილი ფორმების დაზუსტება. ასე რომ, როდესაც ვლაპარაკობთ მატერიაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი აღქმა ცვალებადია. მატერიას აქვს ორი ფორმა: ნივთიერება და ველი. ნივთიერება შედგება ატომებისაგან, ეს უკანასკნელი კი – ატომის ბირთვისაგან და მის გარშემო დიდ მანძილზე მოძრავი ელექტრონებისაგან. ბირთვი და ელექტრონები განსაზღვრავენ მოცემული ატომის მასას (გრავიტაციულ ველში ყოფნისას, მაგალითად, დედამიწაზე მის წონას). ატომის ბირთვი და ელექტრონები საკმაოდ შორ მანძილზე არიან ერთმანეთისაგან დაშორებული (ამ მანძილის წარმოსადგენად ვაშლი უნდა ჩავთვალოთ ატომის ბირთვად, მაშინ ელექტრონი დაშორებული იქნება, როგორც თბილისის შუაგული მცხეთას) და ურთიერთქმედებენ ელექტრული ველით. ბირთვისა და ელექტრონების ერთობლივი მოცულობა ატომის მთელ მოცულობასთან შედარებით ძალაზე მცირეა, მათი შეფარდება 10^{-15} რიგისაა (მილიარდი რომ

გავამრავლოთ მიღიონჩე, იმდენჯერ ნაკლები), ე.ი. ატომის უდიდესი ნაწილი ველს უკავია და ფაქტიურად ნივთიერების მთელი მოცულობა ველია. გრავიტაციულ და ელექტრულ ველებს ჩვენ ვერ ვხედავთ და ამიტომ მათ მიერ მოცულ სივრცეს ცარიელს ვუწოდებთ. ჩვენც, ადამიანები, ნივთიერებისაგან შევდგებით. გამოდის, რომ ზემოთ გამოთქმული აღქმით ჩვენი სხეულის უდიდესი ნაწილი სიცარიელეა. თუ ჩვენ შუბლით კედელს დავეჭახებით, ძნელი წარმოსადგენი იქნება, რომ ჩვენი შუბლი და კედელიც უმთავრესად სიცარიელეა! მაგრამ რა ეჭახება ერთამენთს? მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი სხეულისა და კედლის შემადგენელი განაპირა ატომების გარე ელექტრონები, რომლებიც ველით არიან დაკავშირებულნი თავიანთ ბირთვთან. მაგრამ შედეგი ჩვენთვის, მინიმუმ, ძალებე მტკიცნეული იქნება, თუ არა სავალალო! ასე რომ, ველს ჩვენ მხოლოდ მისი ქმედებით შევიგრძნობთ, მისი ზოგიერთი ქმედება კი შეიძლება ჰერ კიდევ ამოუცნობი იყოს. მაგალითად, ბიოველი არსებობს, მაგრამ თითქმის შეუსწავლელია და ოფიცილიაური მეცნიერებით ჰერ არ არის აღიარებული. „[თანამედროვე ფიზიკაში] სამყარო იყოფა არა ობიექტების განსხვავებულ ჰგუფებად, არამედ კავშირების განსხვავებულ ჰგუფებად. ერთადერთი, რაც ექვემდებარება გამოყოფას, ეს არის კავშირის ტიპი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ მოვლენისათვის... ამრიგად, სამყარო ჩვენ წარმოგვიდგება მოვლენების რთულ ხლართად, რომელშიც სხვადასხვა ტიპის კავშირები ენაცვლებიან, იფარებიან, ეთანადებიან ერთმანთს და ამით განსაზღვრავენ მთლიანის ტექსტურას“ (ვერნერ ჰაიბენბერგი, ნობელის პრემიის ლაურეატი). ამრიგად, როცა ვლაპარაკობთ მატერიალურ სამყაროზე, ბევრი რამ არის კიდევ გასარკვევი, რომ მეცნიერული წარმოდგენები მის შესახებ დაემთხვეს სინამდვილეს.

როგორც აღვნიშნეთ, ღვთის მიერ 7500 წლის წინათ სამყაროსა და ადამიანის შექმნის იდეას, აგრესიული მეცნიერები უპირისპირებენ სამყაროს მეცნიერულ მრავალმილიარდიან ასაკს და ევოლუციის თეორიას. სინამდვილეში იგი თეორია კი არა, ჰიპოთეზაა (ჰიპოთეზა – შინაგანი წინააღ-

მდევობის არმქონე სავარაუდო აზრი, თეორია – დამტკიცებული ან ცდებით დადასტურებული ჰიპოთეზა), რადგან არა აქვს თეორიისათვის საჭირო მტკიცებულებანი. ევოლუციური ჰიპოთეზის უსაფუძვლობის შესახებ ვიტყვი ორიოდ სიტყვას, რადგან ვიცი, რომ შემდეგი გამომსვლელები ამაზე ვრცლად ისაუბრებენ. ევოლუცია ნიშნავს რაიმეს უმარტივესი ფორმიდან რთულამდე თავისთავად განვითარებას. სამყაროს შემთხვევაში ეს ასე წარმოუდგენიათ: ატომებისაგან შეიქმნა მოლეკულები, მათგან არაორგანული ნივთიერება, მისგან ორგანული მოლეკულები და შემდეგ უმარტივესი ცოცხალი უქრედი, რომლის განვითარებამ მოგვცა თანამედროვე მცენარეული და ცხოველური სამყარო და ადამიანი. ამრიგად, ევოლუციური ჰიპოთეზის თანახმად, სიცოცხლე შემთხვევით შეიქმნა და არა შემოქმედის მიერ. ეს დებულება იმდენად მიუღებელია, რომ თვით ევოლუციის ფუძემდებლად აღიარებული ჩარლზ დარვინიც უარყოფდა მას „დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობის ახსნა მხოლოდ შემთხვევითობის ძალით იგივეა, რაც მტკიცება თითქოს ლექსიკონი ტიპოგრაფიაში მომხდარი აფეთქების ძალას შეექმნას“. მიუხედავად ამისა, დარვინი ამტკიცებდა, რომ გარემო-პირობებთან შეგუების გამო შეიძლება უფრო სრულყოფილი და რთული ახალი გვარის წარმოშობა. ევოლუციონისტებმა მისი ეს შეხედულება განავითარეს და დაუშვეს, რომ ხდება მატერიის სახეცვლილება ატომიდან ადამიანამდე, ე.ი. უმარტივესიდან სულ ახალი და ახალი, უფრო რთული გვარების წარმოქმნა, მაგრამ არ არის წაპოვნი ერთი გვარიდნ მეორეში გადასვლის გარდამავალი ფორმა. ისინი, რომლებიც ასეთებად იყო გამოცხადებული და ბევრ სახელმძღვანელოში აქამდეც არის მოყვანილი, სიყალებე აღმოჩნდა. გარდა ამისა, თავად გენეტიკოსმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ გენები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემულ გვარს, თავისთავად არ იცვლებიან. მათი ცვლილება შეიძლება მოხდეს განსაკუთრებული ზემოქმედების შედეგად, რასაც მუტაციას (მემკვიდრეობითობის სწრაფი ცვლილება რაიმეს ზეგავლენით) უნოდებენ. იმავე გენეტიკოსებმა მკაცრად დაადგინეს: გენების მუტაცია მიმდინარეობს „ზემოდან ქვევით“, ე.ი. უფრო რთული ფორ-

მიდან მარტივისაკენ და არა ჰირიქით, როგორც ამას ევოლუციის ჰიპოთეზა მოითხოვს.

ევოლუციური ჰიპოთეზა მოითხოვს დედამიწის მრავალმიღიარდიან ასაკს, რომელიც უპირისპირდება ღვთის მიერ სამყაროს შექმნის 7500 წლის ასაკს. მრავალმიღიარდიან ასაკის დამტკიცებას ევოლუციონერები ცდილობენ გეოერონოლოგიური სკალის – სტრადიგრაფიის (სხვადასხვა სახის ქანებს სხვადასხვა ასაკს მიაწერენ) და პალეონტოლოგიის (მეცნიერება ნამარხი ორგანიზმების შესახებ) მეშვეობით. სტრადიგრაფიის ფუძემდებლად ითვლება მე-17 საუკუნის კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ანატომიის პროფესორი, ნიკოლას სტენო. მან ყოველგვარი ექსპერიმენტების გარეშე გააკეთა ორი დაშვება, რომ წყლიდან ნალექის ფენების დაფენა ერთნაირი საშუალო სიჩქარით ხდება მთელ დედამიწაზე, ერთი დაფენილი ფენის გამკვრივებისა და სათანადო სტრუქტურის – ქანის შექმნის შემდეგ ეფინება მეორე ფენა და ა.შ. ე.ი. ქვევითა ფენა უფრო ძველი წარმოშობისაა, ვიდრე შემდეგი. დაფენილი ფენების რაოდენობით, მათი სისქისა და დაფენის სიჩქარის საშუალებით გამოითვლება დრო, რომლის განმავლობაშიც მოხდა ეს დაფენა, შედეგად მიიღეს მრავალმიღიარდიანი წლები. ამით ისარგებლეს პალეონტოლოგებმა და დაუშვეს, რომ ძველ ფენებში აღმოჩენილი მთლიანად გამქრალი ორგანიზმები წინ უსწრებენ შემდეგ ფენებში აღმოჩენილ უფრო რთულ ორგანიზმებს, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, არათერს ამბობენ იმაზე, რომ გარდამავალ ფორმებს ვერ პოულობენ. არც იმას ითვალისწინებენ, რომ დღეს ბუნებაში არსებობს 150-ზე მეტი უძველესი სახეობა, რომლებმაც არავითარი ცვლილება არ განიცადეს „მრავალმიღიარდიანი“ ხანის განმავლობაში, ე.ი. არ მოხდა მათი ევოლუცია, ხოლო ცხოველთა სახეობათა გაქრობა ჩვენს დროშიც მიმდინარეობს, რის გამოც შექმნილია წითელი წიგნი. ახალი ექსპერიმენტული მონაცემებით დაფენის სიჩქარე დამოკიდებული აღმოჩნდა წყლის ფენის სისქეზე და მის სიჩქარეზე. ასე რომ, ფენის ერთნაირი სტრუქტურა შეიძლება მიღებულ იქნას როგორც უფრო

ადრე, ასევე გვიან. ამერიკაში ძლიერი მიწისძვრის შედე-
გად ტბაში წარმოიშვა უზარმაზარი ტალღები, რომლებიც
ნაპირის საზღვრებიდან შორს გავრცელდა. როდესაც ტბა
თავის პირვანდელ მდგომარეობას დაუბრუნდა, ნაპირზე
აღმოჩნდა გეოლოგიური ყველა ხანის დამახასიათებელი
ქანების სტრუქტურა. ამრიგად, გეოქრონოლოგიური სკალა
საგრძნობ გადახედვასა და შესწორებას მოითხოვს. დღეი-
სათვის უკვე დადგენილია, რომ 95% გეოლოგიური ქანებისა
გაცილებით ხანმოკლე დროში ჩამოყალიბდა, ვიდრე ადრე
ეგონათ. აქ მე არ მინდა ვთქვა, რომ დედამიწის ქანები 7500
წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ამ საკითხს მე ქვემოთ
შევხები, როგა განვიხილავ დროის ბუნებას. მხოლოდ მინ-
და აღვნიშნო დღესდღეობით მიღებული გეოქრონოლოგი-
ური სკალის უზუსტობა.

სამყაროს რელიგიური 7500 წლის და მეცნიერული მრა-
ვალმილიარდიანი ასაკის შეუსაბამობის განსახილველად
უნდა გავერკვეთ რა არის დრო, რას გულისხმობს ამ ტერ-
მინის ქვეშ მეცნიერება. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით ინტუ-
იცურად-გრძნობით, რა არის დრო, მაგრამ მისი ლოგი-
კური განმარტება არ ვიცით. აინშტაინი ამბობდა, რომ მან
კარგად იცის რა არის დრო, მაგრამ როცა ეკითხებიან, რა
არის დრო, ასენა არ შეუძლია! ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანი-
ლი დროის განმარტება არ არის ლოგიკური განმარტება. ის
მხოლოდ მითითება. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მოაზ-
როვნე ცდილობდა გარკვეულიყო დროის ბუნებაში. მოვიყ-
ვან ზოგიერთ მათ მოსაზრებას. სტივენ ჭოუკინგის (თანამე-
დროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფიზიკოსი)
აზრით, რადგან რეალური დროის აღმოჩენა (განსაზღვრა)
არავის შეუძლია, ამიტომ ყველასათვის, ვინც დედამიწაზე
ცხოვრობს, დრო წარმოსახვითია. რეალური დრო კი, მისი
გაგებით, განისაზღვრება სამი ისრით: I – ფსიქოლოგიურით
– ჩვენ გვახსოვს წარსული და არ გვახსოვს მომავალი. ე.ი.
ისარი მიმართულია დღეიდან ხვალისკენ. II – თერმოდინ-
ამიკურით (თერმოდინამიკა – ფიზიკის ნაწილი, რომელიც
შეისწავლის სითბოს და მის სხვა ენერგიებში გარდაქმნას) –


სამყაროში ყველა პროცესი ზრდის მოუწესრიგებლობას, ანუ ენტროპიას. III – კოსმოლოგიურით (მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამყაროს როგორც ერთ მთელს და ადამიანის ადგილს მასში) – სამყარო ფართოვდება. როცა ერთ-ერთი ამ ისართაგანი შეიცვლის მიმართულებას საპირისპირო-საკენ, ეს იქნება დროის შემობრუნება. მისი გამოთვლებით, კოსმოლოგიური ისარი შემობრუნდება 12 მილიარდი წლის შემდეგ.

მეცნიერების ერთი ჭგუფი აცხადებს, რომ მათ ცოცხალი ორგანიზმის შიგნით იპოვნეს დროის ყველაზე პატარა ნაწილები – დროის კვანტები. ეს კვანტები განისაზღვრება ფერმენტული რეაქციების სიჩქარეებით და არ არის დამოკიდებული რეალურ დროზე, რომელსაც ჩვენ ორგანიზმის გარეთ ვზომავთ. ამასთან კვანტების ზომა დამოკიდებულია ტემპერატურაზე და იზრდება მისი გადიდებით. მეცნიერთა მეორე ჭგუფის აზრით, არსებობენ ფოტონები – სინათლის უმცირესი ნაწილაკები, რომლებიც მოძრაობენ არა მხოლოდ დღეიდან ხვალისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებითაც. სრულიად განსხვავებულად უყურებს ამ საკითხს ასტროფიზიკოსების ჭგუფი ნ. კოზირევის ხელმძღვანელობით. მათი წარმოდგენებით, დრო წარმოადგენს ფიზიკურ სიდიდეს, გააჩნია მიმართულება, ვრცელდება მყისიერად, ექვემდებარება ოპტიკურ კანონებს და შეუძლია მუშაობის შესრულება, ე. ი. აქვს ენერგია. ყველა სხეული და ვარსკვლავი, მათ შორის, მზეც, შთანთქავს და გამოასხივებს დროს. დროის ენერგია კვებავს მთელ სამყაროს და ენინააღმდეგება მოუწესრიგებლობის, ე. ი. ენტროპიის ზრდას, რითაც განაპირობებს სამყაროს ჰარმონიულობას. ყოველი ჩვენგანი მის აკუმულირებას ახდენს ცხოვრების განმავლობაში, გარდაცვალების შემდეგ კი გამოყოფს. გაზაფხულზე აყვავებული და ზაფხულში მზარდი მცენარეები დროს შთანთქავს, ხოლო შემოდგომაზე მომაკვდავი და ზამთარში მკვდარი მცენარეები მას გამოყოფენ. აქედან გამომდინარე, ისინი ხსნიან იმ ფაქტს, რომ გაზაფხულისა და ზაფხულის მიმდინარეობა უფრო სწრაფი გვეჩვენება, ვიდრე შემოდგომისა და ზამთრის. როგორ წარმოიშვა ან


ვინ წარმოშვა დრო, ავტორები არაფერს იუწყებიან! დროის ბუნების შესახებ ასეთ შეხედულებას აქვს სათანადო დამადასტურებელი ექსპერიმენტები, რომლებიც არსებული მეცნიერული წარმოდგენებით არ იხსნება. ნახ. 1ა-ზე გამოსახულია სასწორი, რომლის ერთ მხარეს თეფშზე დევს ბზრიალა.



ნახ. 1ა




ნახ. 1ბ



ნახ. 1გ

სასწორი განონასწორებულია მეორე მხარეს თეფშზე მდებარე საწონით. თუ ბზრიალას დავატრიალებთ სასწორის წონასწორობა დაირღვევა ნახ. 1ბ. თუ ბზრიალას დავატრიალებთ მეორე მიმართულებით, სასწორის წონასწორობა ისევ დაირღვევა, ოღონდ საპირისპირო მიმართულებით ნახ. 1გ. ავტორების აზრით, ერთ შემთხვევაში დრო შთაინთქმება, მეორეში კი – გამოსხივდება (დეტალური განხილვა აქ ზედმეტი იქნება). მეორე ექსპერიმენტში თუ განონასწორებულ სასწორთან მივიტანთ სითხეს, რომელიც ინტენსიურად ორთქლდება, სასწორის წონასწორობა დაირღვევა. თუ განონასწორებულ სასწორთან მივიტანთ აირს, რომელიც აირიდან სითხეში გადადის, სასწორის წონასწორობა დაირღვევა საპირისპირო მიმართულებით. ავტორები განმარტავენ, რომ პირველ შემთხვევაში მოწესრიგებული სისტემა გადადის უფრო მოუწესრიგებელ სისტემაში და დრო გამოიყოფა, მეორე შემთხვევაში, პირიქით, მოუწესრიგებელი სისტემა

გადადის უფრო მოწესრიგებულში და დრო შთაინთქმება. ავტორებმა დაადგინეს, რომ დროის შთანთქმა და გამოსხივება მოქმედებს არა მარტო სასწორზე, არამედ ელექტროგამტარის (რეზისტორის) წინააღმდეგობაზე. ეს ფაქტი მათ გამოიყენეს ძალზე საინტერესო ექპერიმენტის ჩასატარებლად. უნდა გავიხსენოთ, რომ, როცა ღამე ვარსკვლავებს ვუყურებთ, ისინი იქ უკვე აღარ არიან, სადაც ჩანან, რადგან სანამ მათ მიერ გამოსხივებული სინათლე ჩვენამდე მოვიდა, ისინი, თავიანთი მოძრაობის შედეგად, უკვე სხვა ადგილზე იმყოფებიან და ჩვენი თვალი მათ ვერ ხედავს. მაგრამ რადგან დრო მყისიერად ვრცელდება, მათ მიერ გამოსხივებული დრო ჩვენამდე მოდის, რომელსაც ჩვენი თვალი ვერ აღიქვამს. თუ იმ ადგილზე, სადაც მოცემულ მომენტში რეალურად იმყოფება ვარსკვლავი, ე.ი. ჩვენი თვალისთვის სიბნელეა, მივმართავთ ტელესკოპს და მისი საშუალებით დროს დავაფოკუსირებთ ელექტროგამტარზე, (ნახ. 2) მისი წინააღმდეგობა უნდა შეიცვლოს.



ნახ. 2

მკვლევრებმა ასეთი ცდა ჩატარეს და ელექტროგამტარის წინააღმდეგობის ცვლილება დააფიქსირეს. ავტორების აზრით, ეს ამტკიცებს იმას, რომ ციური სხეულები ასხივებენ დროს. იგი ვრცელდება მყისიერად, ნივთიერება შთანთქავს მას და იცვლის თვისებებს მისი ზეგავლენით. ავტორებს შემოაქვთ

დროის სიმკვრივის ცნება, რომლის ცვლილებით იცვლება მიმდინარე პროცესების სიჩქარე. ყველაფერი ზემოთქმული-დან შეიძლება დავასკვნათ, რომ დროის ბუნება დღეისათვის ადამიანისათვის შეუცნობელია. „კითხვები დროის წარმოშობის შესახებ, როგორც ჩანს, სამუდამოდ დარჩება ჩვენთან“ (ილია პრიგოჟინი, ნობელის პრემიის ლაურეატი). მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს განხილული ჰიპოთეზა უკვე თეორიის ნიშნებს ატარებს, მე არ შემიძლია რომელიმე მათგანს მივანიჭო უპირატესობა. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ყველა ჰიპოთეზის მიხედვით დრო განსხვავებული სიჩქარეებით იცვლება. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დროის ბუნების გარკვევის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ბიბლიაში მოცემული და მეცნიერთა მიერ გამოთვლილი სამყაროს ასაკი, დროის ბუნებიდან გამომდინარე გადაანგარიშებული, ერთმანეთს დაემთხვეს. ამისათვის კი საჭიროა მეცნიერთა კრიტიკული და პატიოსანი დამოკიდებულება თავისი კვლევის მეთოდებისა და მიღებული შედეგების მიმართ.

მე უკვე აღვნიშნე, რომ დღეისათვის აღმოჩენილია უამრავი მოვლენა და ექსპერიმენტული ფაქტი, რომლებსაც ე.წ. ოფიციალური, აკადემიური მეცნიერება (მეცნიერება, რომელიც ეყრდნობა მეცნიერთა დიდი უმრავლესობის მიერ მიღებულ წარმოდგენებს, განაგებს მეცნიერებისათვის განკუთვნილი ფინანსებისა და სამეცნიერო გამომცემლობების უდიდეს ნაწილს) ვერ სხნის. ზოგ მათგანზე უკვე გვქონდა საუბარი. აქ მე არ შევვხები სხვადასხვა ახალ ჰიპოთეზას, მხოლოდ აღვნიშნავ რამდენიმე მკაცრად დაფიქსირებულ ახალ ფაქტს. სხვადასხვა ქვეყნის მკვლევრების შეთანხმებით, ერთდროულად ტარდება მარტივი ქიმიური რეაქცია, რომლის შედეგად წარმოიქმნება ნალექი. ამ ნალექის მიღებული წონა ყველა ქვეყანაში ერთნაირია, მაგრამ ყოველ დღე სხვადასხვა სიღიდისა! ამის შესახებ მეცნიერებას არავითარი ჰიპოთეზაც კი არა აქვს. ყველამ იცის, რომ თერმოდინამიკური კანონების თანახმად, რაიმე მექანიზმის მარგი ქმედების კოეფიციენტი (შესრულებული სამუშაოს შეფარდება მის შესასრულებლად დახარჯულ ენერგიასთან) ყოველთვის ნაკლებია 1-ზე, ე.ი.

არ შეიძლება მიიღოთ მეტი ენერგია, ვიდრე მის შესაქმნელად დახარჯეთ. მისი ყველაზე მაქსიმალური მიღებული სიდიდეა 0,8. იაპონიასა და რუსეთში კი რამდენიმე ფირმა უშვებს შენობის გამათბობლებს, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი 1,5-2 ფარგლებშია! სამხრეთ კორეაში კი უშვებენ იმავე პრინციპზე მომუშავე ელექტროძრავებს გემებისათვის. ამაზეც ოფიციალური მეცნიერება დუმს. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეულია იმით, რომ სათანადო კორპორაციებს, რომლებიც უშვებენ ჩვეულებრივ დანადგარებს, ხელს არ აძლევთ ბევრად უფრო ეკონომიური, ე.ი. იაფი დანადგარების გაჩენა. აქედან გამომდინარეობს, რომ ოფიციალური მეცნიერება ჭეშმარიტების ძიებით კი არ არის დაკავებული, არამედ მათი დამფინანსებლების ინტერესების დაცვით. არის ახალი იდეა იმის შესახებ, რომ ვაკუუმი (თუ რაიმე ჭურჭლიდან ამოვტუმბავთ ჰაერს, ამბობენ რომ ჭურჭელში არის სიცარიელე, ანუ ვაკუუმი) არის უდიდესი ენერგიის წყარო. ამ იდეის პრაქტიკულმა დამუშავებამ შესაძლებელი გახადა ვაკუუმის ენერგიაზე მომუშავე დანადგარების, ამერიკაში კი – ავტომანქანის შექმნა. ამ გასაოცარ ფაქტსაც ოფიციალური მეცნიერება გვერდს უვლის და ყოველნაირად ეწინააღმდეგება ამ ახალი იდეების პუბლიკაციას ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. გამოდის, რომ დღეს მსოფლიოში არსებობს „იატაკევეშა მეცნიერება“, რომელსაც სათანადო ყურადღების მიქცევის შემთხვევაში შეუძლია ადამიანის ცხოვრების კომფორტულობის გაზრდა.

ორიოდე სიტყვა სასწაულის შესახებ. სასწაულია ის, რასაც ადამიანის გონება ჰიპოთეზის საშუალებითაც კი ვერ ხსნის, მაგრამ შემოქმედისათვის ჩვეულებრივი ქმედების შედეგია. მეცნიერების ნაწილი ამტკიცებს, რომ სასწაული ბუნებაში არ არსებობს, ამიტომ მოვიყვან მაგალითს, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და მილიციის მიერ არის დოკუმენტალურად დაფიქსირებული. მას ახლახან მოეხსნა გრიფი საიდუმლო. რუსეთის ერთერთ ჰატარა ქალაქში ახალგაზრდობა შეიკრიბა ერთ ბინაში დროის გასატარებლად. როდესაც ცეკვები დაიწყო, ერთ

გოგონას წყვილში არ ერგო ყმაწვილი, მაშინ იგი მივიდა ამ ბინის წმინდა კუთხეში და აიღო წმინდა ნიკოლოზის დიდი ხატი და ხატით ხელში დაიწყო ცეკვა. უცებ ის ადგილზე გაშემდა. ეს გრძელდებოდა 3 წელი და ამ ხნის განმავლობაში ამ სახლს მიღიცია დარაჭობდა, რომ ამ მოვლენას ბევრი თვითმხილველი არ ჰყოლოდა. 3 წლის შემდეგ მოვიდა წვერიანი მოხუცი კაცი, რომელიც მიღიციამ ვერ შეაკავა, როცა ის სახლიდან გამოვიდა, აღმოჩნდა, რომ გოგონას მოძრაობის უნარი აღუდგა. გოგონა გახდა ძალზე მორწმუნე და თავის მეგობრებს ხშირად უსწორებდა ქცევას და ცოდვის ჩადენისაგან იცავდა. ამ შემთხვევაში ეჭვს არ იწვევს უშიშროების კომიტეტის ობიექტურობა.

ყველასათვის ცნობილია გამოთქმა: „თავში აზრი მომივიდა“. ამას მაშინ ამბობენ, როცა ადამიანი ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს რაიმე პრობლემის გადაჭრას და უცებ უჩვეულო, მოულოდნელი, წინაპირობის არმქონე აზრი უჩნდება გონებაში. იგი არ არის ლოგიკური მსჯელობის შედეგი, პირიქით, უფრო ხშირად ეწინააღმდევება მას. საიდან მოდის ეს უჩვეულო აზრი, არავინ იცის. მას ხშირად ინტუიციურ აზრად აცხადებენ. თუ ცნობილია დიდი მეცნიერული აღმოჩენების საწყისი მომენტი, ყველა მათგანი უჩვეულო აზრის უეცარი მოსვლით არის გამოწვეული. არქიმედებზე უკვე ვისაუბრეთ, მენდელეევს ელემენტების ქიმიური თვისებების პერიოდულობის შესახებ აზრი ძილში მოუვიდა, საბედნიეროდ, მოასწრო წამოხტომა და აზრის ჩაწერა. სწორედ ასეთი მოულოდნელი აზრი არის მეცნიერებაში სრულიად ახალი მიმართულების წარმოშობის მიზეზი და ეს სასწაულია, რომლითაც უფალი ადამიანს აჭილდოებს.

ყველაფერი ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ მიუხედავად უდიდესი მიღწევებისა, მეცნიერება, თავისი მოდელურობისა და განვითარების პროცესში ყოფნის გამო, ჰერ შორს არის იმ სინამდვილისაგან, რომელიც ღმერთმა შექმნა და ამიტომ მას არ ძალუს ჰერცერობით უარყოს ან შეაფასოს ბიბლიაში მოცემული სიბრძნე. სწორედ ამით არის გამოწვეული ის,

რომ მართლმადიდებელი ეკლესია არ ჩქარობს დაეთანხმოს მეცნიერების მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზებს სამყაროს წარმოქმნისა და მისი განვითარების შესახებ, განსხვავებით დასავლეთის ეკლესისაგან, რომელიც ორიენტირებულია ყოველი ახალი მეცნიერული კონცეფციის უპირობო მიღებისაკენ. მაღალი რანგის კათოლიკე ღვთისმსახური ჰიუ თუენი გულისტყვივილით აღნიშნავს: „იოანე პავლე II-ის არაოფიციალურმა განცხადებამ ათეისტური ევოლუციის მხარდასაჭერად იქონია თავისი გავლენა... და დღეს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ევოლუცია მოლეკულიდან ადამიანამდე“ გახდა რომის კათოლიკური ეკლესიის საყოველთაოდ აღიარებული დოქტრინა“. ეს, მისი აზრით, დასავლური ეკლესიის დიდი შეცდომაა და იმედს იტოვებს, რომ მოხდება ჭეშმარიტების დაბრუნება. ამ საქმეში კი, მისი აზრით, „დიდი როლი ენიჭება ისეთი მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა შრომებს, როგორიც არის მღვდელ-მონაზონი სერაფიმე (როუზი)“. ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მეცნიერული ჰიპოთეზების არ მიღება, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უარყოფს მეცნიერულ მეთოდიკასა და მის მიღწევებს. იგი მხოლოდ მოუწოდებს მას კრიტიკულად მოეკიდოს თვისი შედეგების გააზრებას და გაითვალისწინოს ბიბლიური სიბრძნე, რომ უფრო დაუახლოვდეს ღვთის მიერ შექმნილ სინამდვილეს.

„მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უწდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“ (პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2000 წ.).

რეზიუმე

მეცნიერება ოდითგან ვითარდებოდა ეკლესიის წიაღში. მე-17 საუკუნის შემდეგ მეცნიერების აჩქარებულმა განვითარებამ და ფანტასტიკურმა მიღწევებმა ბევრ მეცნიერს შეუქმნა ილუბია, რომ მეცნიერებას შეუძლია ყველა მოვლენის ასენა, ყველაფრის მიღწევა და ბიბლიაში მოყვანილი სიბრძნე ლამაზ ლეგენდად აღიქვა. ამ დროს მათ ავიწყდებათ, რომ მეცნიერება განვითარებადია, დროთა ვითარებაში იცვლება მისი წარმოდგენები ერთი და იმავე მოვლენის ბუნების შესახებ, ხოლო ისეთი ბაზისური ფენომენის, როგორიც არის დრო, ბუნება სრულებით არ არის შესწავლილი. „**მეცნიერების პროგრესი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ არასწორი თეორია შეიცვალოს სწორით, არამედ ერთი არასწორი თეორიის შეცვლაში მეორე არასწორით, ოღონდ დაბუსტებულით**“ (სტივენ ჰოუკინგი, დიდი ათეთქების თეორიის ერთ-ერთი აპოლოგეტი).

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მეცნიერული და ტექნოლოგიური დიდი მიღწევა ეკუთვნის მხოლოდ სამყაროს მატერიალურ მხარეს, ხოლო სულიერი მხარის შესწავლაში მეცნიერება ახლა დგამს ჰირველ ნაბიჯებს. აქედან გამომდინარე, მას არ ძალუდს უარყოს ან შეაფასოს ბიბლიაში მოყვანილი ცოდნა. სწორედ ამით არის გამოწვეული ის, რომ მართლმადიდებელი ეკლესია არ ჩქარობს დაეთანხმოს მეცნიერების მიერ წარმოყენებულ ჰიპოთეზებს სამყაროსა და ადამიანის წარმოქმნის, მათი განვითარების შესახებ, განსხვავებით დასავლეთის ეკლესიისაგან, რომელიც ორიენტირებულია ყოველი ახალი მეცნიერული კონცეფციის უპირობო მიღებაზე, რასაც მრავალი მისი წარმომადგენელი მწვავედ განიცდის და იმედი აქვს, რომ ჭეშმარიტება მაღე აღდგება. ამ საქმეში კი კათოლიკე მაღალი რანგის ღვთისმსახურ ჰიუ ლუკის აზრით, „**დიდი როლი ენიჭება ისეთ მართლმადიდებელ ღვთისმეტყველთა შრომებს, როგორიც არის მღვდელ-მონაზონი სერაფიმე (როუზი)**“. ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მეცნიერული ჰიპოთეზების არ

მიღება, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი უარყოფს მეცნიერულ მეთოდიკასა და მის მიღწევებს. იგი მხოლოდ მოუწოდებს მას კრიტიკულად მოეკიდოს თავისი შედეგების გააზრებას და გაითვალისწინოს ბიბლიური სიბრძნე, რომ უფრო დაუახლოვდეს ღვთის მიერ შექმნილ სინამდვილეს. „მეცნიერებაცა და რელიგიაც საშუალებაა ობიექტური რეალობის შესაცნობად და ისინი ხელს უწდა უწყობდნენ ჭეშმარიტების გზით კაცობრიობის განვითარებას“ (პატრიარქი ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლე, 2000 წ.).

α
σ
ω

საქართველოს
მართლმადიდებელ ეკლესიასთან
არსებული ქრისტიანული კვლევის
საქრთაშორისო ცენტრი



ექვთიმე ტაყაიშვილის სახელობის
საქველმოქმედო ფონდი

ISSN 2298-0199
UDC (უკ) 323.1+271.22](479.22)
გ-811